



მსჯავრდებულთა და პირობით მსჯავრდებულთა  
საჭიროებების კვლევა  
რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევის ანგარიში

## საკონტაქტო ინფორმაცია

### წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი



GCRT – წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი

თბილისი, ანჯაფარიძის 9

საკონტაქტო პირი: ერეკლე ნათაძე

ტელეფონი: +995 (32) 220689

ფაქსი: +995 (32) 225402

ელ. ფოსტა: [gcr@gol.ge](mailto:gcr@gol.ge)

ვებგვერდი: [www.gcr.ge](http://www.gcr.ge)

# სარჩევი

---

სარჩევი .....	3
კვლევის შესახებ.....	7
ძირითადი მიგნებები და დასკვნები.....	9
რაოდენობრივი კვლევის შედეგები .....	13
გამოკითხულთა დემოგრაფიული მონაცემები და პატიმრობის ისტორია.....	13
დანაშაულის განმეორებითი ჩადენის მაჩვენებელი .....	14
დასაქმების სტატუსის და ოჯახური მდგომარეობის ცვლილება პატიმრობის შემდეგ .....	16
ფიზიკური ჯანმრთელობა და ფსიქოლოგიური მდგომარეობა.....	17
პატიმრობის პირობები .....	23
გათავისუფლების შემდგომი გეგმები და პრობლემები.....	32
საზოგადოებაში სრულფასოვანი დაბრუნებისთვის საჭირო ღონისძიებების შეფასება .....	34
პრობაციის ეროვნული სააგენტოს რესოციალიზაციის კუთხით გაწეული საქმიანობის შეფასება.....	42
2. ხარისხობრივი კვლევის შედეგები.....	45
3.  საექსპერტო გამოკითხვის შედეგები .....	48
4.  რეკომენდაციები.....	58
გამოყენებული წყაროები .....	59
დიაგრამა 1პატიმრობის რაოდენობა, პირობით მსჯავრდებულები და მსჯავრდებულები ..	15
დიაგრამა 2განმეორებითი დანაშაულსა და დასაქმების სტატუს შორის კავშირი.....	15
დიაგრამა 3პირობით მსჯავრდებულების დასაქმების სტატუსი დაპატიმრებამდე და გათავისუფლების შემდეგ.....	16
დიაგრამა 4მსჯავრდებულების დასაქმების სტატუსი დაპატიმრებამდე.....	17
დიაგრამა 5მსჯავრდებულებისა და პირობით მსჯავრდებულების ჯანმრთელობის მდგომარეობა.....	17
დიაგრამა 6სასჯელის მოხდის ადგილებში სამედიცინო მომსახურების შეფასება .....	18
დიაგრამა 7სასჯელის მოხდის პერიოდში განვითარებული სიმპტომები .....	19
დიაგრამა 8ფსიქო-სომატური სიმპტომების გამოვლინება სასჯელის მოხდის პერიოდში და გათავისუფლების შემდეგ. პირობით მსჯავრდებულები .....	20

დიაგრამა 9 სიმპტომები, რომელიც განვითარდა გათავისუფლების შემდეგ. პირობით მსჯავრდებულები .....	21
დიაგრამა 10 გათავისუფლების შემდეგ განვითარებული სიმპტომები დასაქმების ჭრილში	22
დიაგრამა 11 სასჯელის მოხდის ადგილებში არსებული პირობების შეფასება, მსჯავრდებულები .....	23
დიაგრამა 12 მსჯავრდებულთა მიმართ პერსონალის დამოკიდებულების შეფასება .....	24
დიაგრამა 13 სასჯელადსრულების დაწესებულებებში წამების შემთხვევების არსებობა, პირობით მსჯავრდებულებისა და მსჯავრდებულების დამოკიდებულება .....	24
დიაგრამა 14 სასჯელადსრულების დაწესებულებებში მსჯავრდებულების მიმართ დამოკიდებულების შეფასება სასჯელადსრულების დაწესებულებების მიხედვით .....	25
დიაგრამა 15 სასჯელის მოხდის ადგილებში სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობის შეფასება, პირობით მსჯავრდებულები, მსჯავრდებულები .....	27
დიაგრამა 16 სასჯელადსრულების დაწესებულებებში ცხოვრების პირობების შეფასება .....	28
დიაგრამა 17 სასჯელადსრულების დაწესებულებებში ინფორმაციის მიღების საშუალებები	29
დიაგრამა 18 რით არიან დაკავებულები სასჯელის მოხდის ადგილებში. მსჯავრდებულები .....	30
დიაგრამა 19 რით არიან დაკავებულები სასჯელის მოხდის ადგილებზე, დაწესებულებების მიხედვით .....	31
დიაგრამა 20 რით იყვნენ დაკავებულები სასჯელის მოხდის ადგილებზე. პირობით მსჯავრდებულები .....	32
დიაგრამა 21 პრობლემები, რომელთა წინაშეც დადგნენ გათავისუფლების შემდეგ პირობით მსჯავრდებულები .....	33
დიაგრამა 22 პრობლემები, რომლის წინაშეც დადგებიან მსჯავრდებულები გათავისუფლების შემდეგ .....	33
დიაგრამა 23 გათავისუფლების შემდგომი სარეაბილიტაციო ღონისძიებების მნიშვნელოვნების შეფასება .....	37
დიაგრამა 24 რესოციალიზაციის მხარდამჭერი ღონისძიებების (განათლების / დასაქმების) საჭიროების შეფასება .....	38
დიაგრამა 25 ფსიქოლოგიური დახმარების საჭიროების შეფასება .....	39
დიაგრამა 26 იურიდიული დახმარების საჭიროების შეფასება .....	39
დიაგრამა 27 გათავისუფლების შემდეგ გეგმები .....	41
დიაგრამა 28 პირობით მსჯავრდებულთა ურთიერთობა პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან .....	43
დიაგრამა 29 პრობაციის სააგენტოს საქმიანობის ეფექტურობა პირობით მსჯავრდებულთა სოციალური რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მხრივ .....	44
ცხრილი 1 ინფორმაცია ჩატარებული ფოკუს ჯგუფების შესახებ .....	7
ცხრილი 2 რესპონდენტების განათლება .....	13
ცხრილი 3 პატიმრობის პერიოდი .....	14

ცხრილი 4 სასჯელადსრულების დაწესებულებებში ექიმი / მსჯავრდებულის თანაფარდობა .....	26
ცხრილი 5 გამოკითხვის ადგილებში განთავსებული მსჯავრდებულების რაოდენობა და განთავსების ლიმიტი .....	27
ცხრილი 6 რესოციალიზაციის პროგრამებში ჩართული პატიმარების რაოდენობა თვეების მიხედვით, 2011 წელი.....	36
ცხრილი 7 რესოციალიზაციის პროგრამებში ჩართული პირობით მსჯავრდებულების რაოდენობა თვეების მიხედვით, 2011 წელი .....	42

# შესავალი

---

წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი (GCRT) 2000 წლიდან ახორციელებს წამებისა და სასტიკი მოპყრობის მსხვერპლთა მხარდაჭერისა და დახმარების პროექტებს. 2003 წლიდან GCRT აქტიურად თანამშრომლობს იუსტიციის სამინისტროსთან, ხოლო მისი ჩამოყალიბების დღიდან სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსთან. ამჟამად GCRT სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ახორციელებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტს “ოთხი რ-ს დანერგვა საქართველოში: რეაბილიტაცია, რეინტეგრაცია და რეციდივიზმის რედუქცია (შემცირება) მსჯავრდებულთა და ყოფილ მსჯავრდებულთა შორის”. პროექტი პილოტური სახით ხორციელდება ქსნის #15 დაწესებულებაში და გულისხმობს მსჯავრდებულთა მომზადებას გათავისუფლებისათვის. პროექტი მიზნად ისახავს მსჯავრდებულთა რეაბილიტაციას, მათ მომზადებას საზოგადოებაში უკეთ ინტეგრირებისათვის და შესაბამისად, რეციდივიზმის საერთო ფონის შემცირებას.

საზოგადოებაში უკეთესი რესოციალიზაციისთვის, განმეორებითი დანაშაულის რისკის შემცირებისთვის პროექტის ფარგლებში განხორციელდა მსჯავრდებულების და ყოფილი მსჯავრდებულების გამოკითხვა. გამოკითხვის ფარგლებში მოხდა იმ საჭიროებების იდენტიფიცირება, რაც ყოფილ მსჯავრდებულებს გააჩნიათ გათავისუფლების შემდეგ, მსჯავრდებულების შემთხვევაში კი თვლიან, რომ მსგავსი საჭიროება წარმოემობათ მომავალში. კვლევა ჩატარდა GCRT-ის და გამოყენებითი კვლევების კომპანიის (ARC) აქტიური თანამშრომლობით. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ამ კვლევის შედეგებს.

# კვლევის შესახებ

## კვლევის ამოცანები

კვლევის ამოცანას წარმოადგენდა მსჯავრდებულთა და პირობით მსჯავრდებულთა საჭიროებების გამოვლენა და მათი დამოკიდებულებების შესწავლა იმ ღონისძიებების მიმართ, რომლებიც მათ აზრით ეფექტური იქნება მსჯავრდებულთა გათავისუფლებისთვის მომზადებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის.

## კვლევის მეთოდები

კვლევის ფარგლებში გამოყენებული იქნა როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდი.

კვლევის ხარისხობრივი მეთოდებიდან გამოყენებული იქნა ე.წ. ფოკუს ჯგუფის მეთოდი, რომელიც გულისხმობს საკითხების ჯგუფურ განხილვას სამიზნე ჯგუფებთან და საექსპერტო გამოკითხვას.

„ფოკუს ჯგუფის“ მეთოდით მსჯავრდებულების და პირობით მსჯავრდებულების გამოკითხვა ჩაატარეს „წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის“ ფსიქოლოგებმა. სულ ჩატარდა 8 ფოკუს ჯგუფი, 4 ჯგუფი პირობით მსჯავრდებულების და 4 კი მსჯავრდებულების მონაწილეობით. შეხვედრების მიზანი იყო გამოვლინა რა პრობლემების წინაშე არიან / იყვნენ ისინი გათავისუფლების წინ / გათავისუფლების მომენტში (ურთიერთობის, ყოფითი, ჯანმრთელობის პრობლემები) და რა სახის ღონისძიებების გატარება იქნება სასარგებლო პრობლემებთან გამკლავების კუთხით.

## ცხრილი 1 ინფორმაცია ჩატარებული ფოკუს ჯგუფების შესახებ

სამიზნე ჯგუფი	შეხვედრის რაოდენობა	მონაწილეთა რაოდენობა თითოეულ ჯგუფში	შეხვედრის ადგილი	შეხვედრის თარიღი
პირობით მსჯავრდებულები რომლებიც გათავისუფლდნენ არანაკლებ 6 თვის წინ („ცენტრის“ ბენეფიციარები)	2	12	თბილისი, „ცენტრის“ ოფისი	2011 წლის 25 თებერვალი, 24 მარტი
პირობით მსჯავრდებულები რომლებიც გათავისუფლდნენ მინიმუმ 6 და მაქსიმუმ 12 თვის წინ	2	12	ბათუმი ქუთაისი	აპრილი
ქსანის #15 სასჯელ აღსრულების დაწესებულების მსჯავრდებულები, რომლებიც 4-დან 6 თვემდე პერიოდში თავისუფლდებოდნენ	4	35	ქსანი	აპრილი

საექსპერტო ინტერვიუები ჩაატარეს „წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის“ ფსიქოლოგებმა (სულ 9 ინტერვიუ). საექსპერტო გამოკითხვა

ჩატარდა მსჯავრდებულების და პირობით მსჯავრდებულების გამოკითხვის შემდეგ. მისი მიზანი იყო გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების სიღრმისეული ინტერპრეტაცია და პენიტენციურ სფეროს ექსპერტების (ექსპერტების სია იხ. დანართში) მოსაზრებების გაზიარება კვლევის პრობლემატიკასთან დაკავშირებით.

**რაოდენობრივი მეთოდებიდან** გამოყენებული იქნა პირისპირ ინტერვიუს მეთოდი. ამ მეთოდის გამოყენებით ჩატარდა 210 ინტერვიუ მსჯავრდებულებთან და პირობით მსჯავრდებულებთან.

გამოკითხვა ჩატარდა სტრუქტურირებული ანკეტის მეშვეობით. ანკეტა შედგებოდა 33 კითხვისგან. კითხვები ერთიანდებოდნენ შემდეგ ბლოკებში:

1. დემოგრაფიული მონაცემები
2. პატიმრობის ისტორია
3. ჯანმრთელობა
4. პატიმრობის პირობები
5. სამომავლო გეგმები
6. პრობაცია
7. რესოციალიზაციის ღონისძიებები / საჭიროებები

### **გამოკითხვის პროცესი**

გამოკითხვა ჩატარდა პირისპირ ინტერვიუს მეთოდით. მსჯავრდებულთა გამოკითხვა ჩატარდა სასჯელაღსრულების სამ დაწესებულებაში:

- №15 დაწესებულება /მცხეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ქსანი/ - ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება
- №16 დაწესებულება /ქ. რუსთავი, მშენებელთა ქ. N 60/ - ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება
- №12 დაწესებულება /ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N 77/ - ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება

პირობით მსჯავრდებულთა გამოკითხვა ჩატარდა „გამოყენებითი კვლევების კოპანიის“ ოფისში. გამოკითხვა მიმდინარეობდა 2011 წლის დეკემბრის თვეში.

### **სამიზნე ჯგუფები**

გამოკითხვა ჩატარდა ორ სამიზნე ჯგუფთან:

- მსჯავრდებულები, რომლებიც 6 თვემდე პერიოდში უმთავრდებოდნენ პატიმრობის ვადა



- პირობით მსჯავრდებულები, რომლებმაც 6 თვიდან -3 წლის წინ დატოვეს საპატიმროები

სულ გამოიკითხა 210 რესპონდენტი, 105 პირობით მსჯავრდებული და 105 მსჯავრდებული.

## ძირითადი მიგნებები და დასკვნები

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს მსჯავრდებულებისა და ყოფილი მსჯავრდებულების საჭიროებების კვლევის შედეგებს მათი საზოგადოებაში რესოციალიზაციისა და რეინტეგრაციის ჭრილში. წინამდებარე კვლევა საქართველოში მსჯავრდებულების და ყოფილი მსჯავრდებულების საჭიროებების შესწავლის პირველი მცდელობაა.

სასჯელალსრულების დაწესებულებებში მსჯავრდებულის იზოლაციის ნეგატიური გავლენის შემცირებას და გათავისუფლებისთვის მომზადებას დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკის შემცირებისთვის. „სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიშის“<sup>1</sup> დოკუმენტში არ არსებობს ინფორმაცია დანაშაულის რეციდივის, ან განმეორებითი დანაშაულის ჩადენის პროცენტული მაჩვენებლების შესახებ. ამიტომ ერთადერთი წყარო, რომლის მიხედვითაც შეიძლება ვივარაუდოთ დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი, არის გამოკითხვის შედეგები. კვლევის შედეგების მიხედვით 22,9%-მა განმეორებით ჩაიდინა დანაშაული და მოხვდა საპატიმროში.

თუ ვივარაუდებთ, რომ რესოციალიზაციის ხარისხი გავლენას ახდენს დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის ალბათობაზე, მაშინ მნიშვნელოვანია გამოვყოთ ის ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავს რესოციალიზაციის ხარისხს. როგორც წინამდებარე კვლევამ აჩვენა, რესოციალიზაციაზე გავლენას ახდენს დასაქმების სტატუსი, ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა, სოციალური სტატუსი.

პატიმრობის პერიოდში ფსიქოლოგიური პრობლემების არსებობას მსჯავრდებულები უფრო ხშირად ასახელებენ, ვიდრე პირობით მსჯავრდებულები. გათავისუფლების შემდეგ პირობით მსჯავრდებულების ნახევარზე მეტს ციხეში ყოფნის სცენები ახსენებს თავს, დაახლოებით მეხუთედი საზოგადოებისგან გარიყულად გრძნობს თავს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სოციალური მიუღებლობის განცდა უფრო მეტად აქვთ საზოგადოების ფართო წრის მხრიდან, ვიდრე ახლობლებისგან. შედეგების მიხედვით, იმ რესპონდენტთა შორის, ვინც პატიმრობის შემდგომაც უჩივის ფსიქოლოგიურ პრობლემებს, მაგ: აწუხებს სუიციდური აზრები, მარტოობის განცდა, ყურადღების კონცენტრაციის პრობლემა,

<sup>1</sup> [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

მომატებული აგრესია და ინტერესის დაქვეითება, 2-ჯერ მეტი რაოდენობაა განმეორებით დანაშაულისთვის დაპატიმრებული.

როგორც კვლევამ აჩვენა ის მსჯავრდებულები, რომლებიც ნარკოტიკზე და ალკოჰოლზე არიან დამოკიდებულები შესაბამისად 1,5-ჯერ და 2-ჯერ უფრო მეტ შემთხვევაში ჩადიან დანაშაულს განმეორებით, ვიდრე ისინი, ვისაც არ აქვს აღნიშნული დამოკიდებულება. მათ შორის, ვინც განმეორებით მოხვდა საპატიმროში, ყველაზე მეტი რაოდენობა (31,3%) ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების მუხლით გასამართლდა, 22,9% კი ნარკოტიკის მოხმარებისთვის იყო დაპატიმრებული.

გამოკითხულთა დაახლოებით მეოთხედს პატიმრობის დროს გაუუარესდა ჯანმრთელობის მდგომარეობა, ნახევარზე მეტს ჯანმრთელობის პრობლემა არ აღენიშნება. პატიმრობის დროს შექმნილი დაავადებებიდან ყველაზე ხშირად სახელდება ტუბერკულოზი (13 შემთხვევა, 6,2%), საჭმლის მომწელებელი ტრაქტის დაავადებები (8 შემთხვევა, 3,8%) და C ჰეპატიტი (6 შემთხვევა 2,9%).

გამოკითხვის მონაცემები ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ დროული და კვალიფიციური სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობა ხშირ შემთხვევაში პრობლემას წარმოადგენს. მსჯავრდებულების 36,2% და პირობით მსჯავრდებულების 39% თვლის, რომ სასჯელის მოხდის დაწესებულებაში არ არსებობს ექიმის მომსახურების დროულად მიღების შესაძლებლობა. მსგავსი შეფასება მივიღეთ კვალიფიციური სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობაზეც.

დანაშაულის განმეორებით ჩადენაზე გავლენას ახდენს დასაქმების სტატუსი. უმუშევართა ჯგუფში უფრო მაღალია იმ რესპონდენტთა წილი (28%), ვინც ხელმეორედ ჩადის დანაშაულს. გათავისუფლების შემდეგ პირობით მსჯავრდებულების დასაქმების სტატუსი საგრძნობლად გაუარესებულია. თუ დაპატიმრებამდე უმუშევარი იყო გამოკითხული პირობით მსჯავრდებულების 31,4%, ამავე ჯგუფში განთავისუფლების შემდეგ უმუშევართა წილი ორჯერ არის გაზრდილი.

საინტერესო განსხვავება გამოვლინდა დაპატიმრებამდე სამუშაოს სტატუსის მიხედვითაც. იმ პირების 72,1%-მა, რომლებიც დაპატიმრებამდე დაქირავებული იყო, გათავისუფლების შემდეგ დაკარგა სამუშაო. დაქირავებულთა მხოლოდ 9,5%-მა შეძლო გათავისუფლების შემდეგაც დაქირავებულის სტატუსის შენარჩუნება. მაშინ როცა პატიმრობამდე თვითდასაქმებულების 58,6%-მა შეძლო გათავისუფლების შემდეგაც საკუთარი თავის დასაქმება. ეს გარემოება შესაძლებელია გაანპირობებული იყოს ერთის მხრივ დამქირავებლების დამოკიდებულებით ნასამართლევის სტატუსის მქონე პირების მიმართ, ხოლო მეორეს მხრივ შრომით ბაზარზე არსებული მძაფრი კონკურენციით. მსჯავრდებულებიდან მესამედზე ოდნავ მეტი დაქირავებული იყო (31,4%). სავარაუდოდ პირობით მსჯავრდებულებსაც შეექმნებათ გათავისუფლების შემდეგ დასაქმების პრობლემა, რაც გაართულებს მათ საზოგადოებაში სრულფასოვან დაბრუნებას და გაზრდის რეციდივის რისკს, მით უფრო, რომ საზოგადოებისგან მიუღებლობას უფრო მეტად

გრძნობენ უმუშევარი რესპონდენტები, რაც დანაშაული ხელმეორედ ჩადენის ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს.

რესპონდენტთა ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს სასჯელის მოხდის ადგილებში არსებული პირობები. სხვადასხვა დაწესებულების მიხედვით მსჯავრდებულების მიერ სასჯელის მოხდის ადგილებში არსებული პირობების შეფასება მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. მსჯავრდებულების შეფასებით ქსნის #15 დაწესებულებაში სასჯელის მოხდის პირობები დანარჩენ ორ დაწესებულებასთან შედარებით უკეთესია, ხოლო ყველაზე უარესი რუსთავის N16-ში.

გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარი ეთანხმება მოსაზრებას, რომ საკნებში მსჯავრდებულების რაოდენობა შეესაბამება ფართს. მსჯავრდებულთა 60% და პირობით მსჯავრდებულების 62,9% კი თვლის, რომ საცხოვრებელი პირობები დამაკმაყოფილებელია. მსჯავრდებულების ორ მესამედზე მეტი თვლის, რომ პირადი ჰიგიენის დაცვა შესაძლებელია, თუმცა მათ შორის უმრავლესობა არის ქსნის #15 დაწესებულების მსჯავრდებულები.

სასჯელადსრულების დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგის შესახებ სპეციალურ ანგარიშში<sup>2</sup> ნახსენებია, რომ „არასათანადო მოპყრობა კვლავ წარმოადგენს პენიტენციური სისტემის პრობლემას“. გამოკითხვის შედეგები ადასტურებს, რომ პერსონალის მხრიდან მსჯავრდებულებისადმი მოპყობა რიგ შემთხვევაში ლახავს მათ უფლებებს.

გამოკითხული პირობით მსჯავრდებულების 41% და მსჯავრდებულების 58% თვლის, რომ პერსონალის დამოკიდებულება მსჯავრდებულების მიმართ არაჰუმანურია, სასჯელადსრულების დაწესებულებებში ადამიანის წამების ფაქტების არსებობის შესახებ კი აცხადებს პირობით მსჯავრდებულების 31% და მსჯავრდებულების 38%.

მსჯავრდებულებისთვის ინფორმაციის მიღების მთავარი საშუალება არის ტელევიზია, სატელეფონო საუბრები ოჯახის წევრებთან / ახლობლებთან და პაემანის დროს ოჯახის წევრებთან კომუნიკაცია. პრესის და რადიოს საშუალებით ინფორმაციას უფრო მეტად იღებენ თბილისის #12 დაწესებულებაში.

გამოკითხვის პერიოდისთვის ვიდეო პაემანით სარგებლობა შეეძლოთ მხოლოდ არასრულწლოვანთა №11, ქსნის №15 და ქუთაისის №2 მსჯავრდებულებს. მსჯავრდებულების გამოკითხვის ადგილებიდან ვიდეო პაემანით სარგებლობა გამოკითხვის დროისთვის შესაძლებელი იყო მხოლოდ ქსნის №15 დაწესებულებაში.

---

<sup>2</sup> სპეციალური ანგარიში საქართველოს სასჯელადსრულების დაწესებულებებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ 2011 წლის პირველი ნახევარი

გამოკითხულთა შორის მხოლოდ 2 მსჯავრდებულისთვის იყო ვიდეო პაემანი ინფორმაციის მიღების წყარო.<sup>3</sup>

ახალი პროფესიის შეძენის და სწავლის შესაძლებლობა აქვს მსჯავრდებულების მხოლოდ 17%-ს. ციხის საწარმოში დასაქმებულია რესპონდენტების მხოლოდ 3,8%. სასჯელის მოხდის ადგილზე მსჯავრდებულების უმრავლესობა საუბრობს სხვა მსჯავრდებულებთან, სეირნობს, უყურებს ტელევიზორს. მსჯავრდებულების ნახევარზე მეტი ხშირად კითხულობს და ლოცულობს.

სარეაბილიტაციო ღონისძიების მნიშვნელობას მსჯავრდებულები უფრო მეტად გრძნობენ, ვიდრე პირობით მსჯავრდებულები. მიუხედავად ამისა, პირობით მსჯავრდებულების მინიმუმ ნახევარი აღნიშნავს სარეაბილიტაციო ღონისძიების მნიშვნელოვნებას.

მსჯავრდებულების დიდი უმრავლესობისთვის გათავისუფლებისთვის მომზადების ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება ფსიქოლოგიური მომზადებაა (84,8%). მსჯავრდებულების მესამედზე მეტს სურს შეიძინოს ახალი პროფესია, მიიღოს ან გააგრძელოს განათლების მიღება. მათთვის ასევე მნიშვნელოვანია:

1. ინფორმირება უფლება-მოვალეობების შესახებ
2. ინფორმირება პრობაციის სერვისების შესახებ,
3. პირადი დოკუმენტაციის მოწესრიგება
4. სამუშაოს ძიებისთვის მომზადება.

პირობით მსჯავრდებულების აზრით, კი ყველაზე მნიშვნელოვანია სამუშაოს ძიებისთვის მომზადება.

ოჯახის წევრებთან ურთიერთობის მოწესრიგებაში დახმარება მსჯავრდებულებს უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, ვიდრე პირობით მსჯავრდებულებს.

ყოველი მეათე პირობით მსჯავრდებული და მსჯავრდებული რელიგიურ საქმიანობას აპირებს, როგორც ჩანს ასეთი გადაწყვეტილება გამოწვეულია ეკლესიის აქტიური თანამშრომლობით სასჯელაღსრულების დაწესებულებებთან და პრობაციის სააგენტოსთან.

---

<sup>3</sup> ვიდეოპაემანის სერვისი დანერგვა 2011 წლის მაისიდან დაიწყო. ვიდეოპაემანის საშუალებით ნებისმიერ პირს შეუძლია მსჯავრდებულთან დაკავშირება. ამ სერვისით სარგებლობა მსურველს შეუძლია პრობაციის ბიუროებიდან (11 ქალაქი). 15 წუთიანი ვიდეო პაემანის ღირებულება 15 ლარია.

# რაოდენობრივი კვლევის შედეგები

## გამოკითხულთა დემოგრაფიული მონაცემები და პატიმრობის ისტორია

გამოკითხვაში მონაწილეობდნენ მსჯავრდებულები, რომლებიც არაუმეტეს 6 თვეში თავისუფლდებოდნენ სასჯელის მოხდის ადგილებიდან. რესპოდენტების ასაკი მერყეობდა 19 წლიდან 57 წლამდე. ამასთან მათი ორი მესამედი (66,2%) 25-დან 45 წლამდე ასაკობრივი ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ. გამოკითხული პირობით მსჯავრდებულებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანია საშუალო განათლების მქონე პირები (48,6%), უმაღლესი განათლება აქვს მიღებული მესამედზე მეტს (37,1%). მსჯავრდებულების მეოთხედს (24,8%) არ აქვს დამთავრებული საშუალო სკოლა. მესამედს მხოლოდ საშუალო განათლება აქვს მიღებული, მეოთხედზე ცოტა მეტს (27,6%) კი უმაღლესი განათლება აქვთ მიღებული.

### ცხრილი 2 რესპოდენტების განათლება

განათლება	პირობით მსჯავრდებულები	მსჯავრდებულები
არასრული საშუალო	6,7	24,8
საშუალო	48,6	32,4
არასრული უმაღლესი	6,7	10,5
სრული უმაღლესი	37,1	27,6
ასპირანტურა / სამეცნიერო ხარისხი	1,0	4,8

რესპოდენტების 86,2% ეროვნებით ქართველი იყო, 8,1% რუსი, დანარჩენი მცირე ნაწილი კი სხვა ეთნიკური წარმომავლობის (სომეხი, ებრაელი, აზერბაიჯანელი, ქურთი, ასირიელი).

პირობით მსჯავრდებულების 14,3%-ს და მსჯავრდებულების 4,8%-ს არ აქვს საკუთარი საცხოვრებელი. ის პირობით მსჯავრდებულები, რომელთაც არ აქვთ საცხოვრებელი, დროებით ცხოვრობენ ნაქირავებში, ნაგირავებში ან ნათესავის ბინაში.

მსჯავრდებულების 55,2% დაოჯახებულია, 41,9% არ არის ქორწინებაში, ხოლო 2,9% განქორწინებულია. რესპოდენტი პირობით მსჯავრდებულების 55,2% დაოჯახებული იყო დაპატიმრებამდე, დანარჩენები კი არ ყოფილან ქორწინებაში დაპატიმრებამდე.

გამოკითხული პირობით მსჯავრდებულების ნახევარი 1 წლამდე ვადით იხდიდა სასჯელს, მეორე ნახევარი კი 1-დან 5 წლამდე. მსჯავრდებულების დიდ ნაწილს (63,8%) 1-დან 5 წლამდე ჰქონდა მისჯილი. ამასთან გათავისუფლების შემდეგ ნახევარზე ოდნავ მეტს (52,4%) პირობითი მსჯავრი რჩებათ.

### ცხრილი 3 პატიმრობის ვადა

	პირობით მსჯავრდებული	მსჯავრდებული
1 წლამდე	49,5	15,2
1-5 წლამდე	49,5	63,8
5-10 წლამდე	1,0	17,1
10-15 წელი		1,9
15-ზე მეტი		1,9

### დანაშაულის განმეორებითი ჩადენის მაჩვენებელი

„სისხლის სამართლის სტატისტიკის შინაარსის შესახებ“ დოკუმენტში<sup>4</sup> ნახსენებია რომ უცხო ქვეყნების გამოცდილების ანალიზისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით განისაზღვრა ის ძირითადი მიმართულებები და პარამეტრები, რომლის მიხედვითაც უნდა ხდებოდეს სისხლის სამართლის სტატისტიკის წარმოება. 8 ძირითადი პატამეტრიდან ერთ-ერთი არის დანაშაულის **რეციდივი**, რომელიც განიმარტება შემდეგნაირად:


*„განმეორებითი დანაშაულის ჩადენა პირობითი მსჯავრის ქვეშ, ამნისტიით, შეწყალებით, პირობით ვადამდე გათავისუფლებული პირის მიერ, აგრეთვე დანაშაულთა სახეობის, კატეგორიების, ტიპებისა და დანაშაულის ჩამდენი პირის მონაცემების მიხედვით“.*

თუმცა სამწუხაროდ, „სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიშის“ დოკუმენტში არ არსებობს ინფორმაცია დანაშაულის რეციდივის, ან განმეორებითი დანაშაულის ჩადენის პროცენტული მაჩვენებლების შესახებ. ამიტომ ერთადერთი წყარო, რომლის მიხედვითაც შეიძლება ვივარაუდოთ დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი, არის გამოკითხვის შედეგები. თუმცა შესაძლოა რეალური მაჩვენებელი უფრო მაღალიც იყოს.

გამოკითხულთა 77,1% პირველად იხდიდა სასჯელს საპატიმროში, მეორედ და მეტჯერ საპატიმროში მოხვდა რესპონდენტების 22,9%.

<sup>4</sup> [http://www.justice.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=717&info\\_id=3644](http://www.justice.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=717&info_id=3644)


დიაგრამა 1 პატიმრობის რაოდენობა, პირობით მსჯავრდებულები და მსჯავრდებულები



მათ შორის ვინც განმეორებით მოხვდა საპატიმროში 31,3% ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების მუხლით გასამართლდა, 22,9% კი ნარკოტიკის მოხმარებაზე იყო დაპატიმრებული.

გამოვლინდა კავშირი საპატიმროში ხელმეორედ დაბრუნებასა და დასაქმების სტატუსს შორის. როგორც მონაცემებიდან ჩანს, მათ შორის ვინც განმეორებით მოხვდა საპატიმროში, თითქმის ორჯერ მეტი იყო დაუსაქმებელი, ვიდრე დასაქმებული. ცხადია დანაშაულის რეციდივზე სხვა ბევრი ფაქტორიც მოქმედებს, თუმცა დაუსაქმებლობის ფაქტორის გავლენაც ნათელია.


დიაგრამა 2 განმეორებითი დანაშაულსა და დასაქმების სტატუსს შორის კავშირი



## დასაქმების სტატუსის და ოჯახური მდგომარეობის ცვლილება პატიმრობის შემდეგ

გათავისუფლების შემდეგ პირობით მსჯავრდებულების დასაქმების სტატუსი საგრძნობლად გაუარესებულია. თუ დაპატიმრებამდე უმუშევარი იყო გამოკითხული პირობით მსჯავრდებულების 31,4%, იმავე ჯგუფში გათავისუფლების შემდეგ უმუშევართა წილი ორჯერ არის გაზრდილი. საინტერესოა ის, რომ იმ პირების 72,1%, რომლებიც დაპატიმრებამდე დაქირავებული იყო, გათავისუფლების შემდეგ დაკარგა სამსახური. დაქირავებულთა მხოლოდ 9,5% შეძლო გათავისუფლების შემდეგაც დაქირავებულის სტატუსის შენარჩუნება. მაშინ როცა პატიმრობამდე თვითდასაქმებულების 58,6%-მა შეძლო გათავისუფლების შემდეგაც საკუთარი თავის დასაქმება.


დიაგრამა 3 პირობით მსჯავრდებულების დასაქმების სტატუსი დაპატიმრებამდე და გათავისუფლების შემდეგ



გამოკითხული მსჯავრდებულებიდან მესამედზე მეტი (38,1%) უმუშევარი იყო დაპატიმრებამდე, ხოლო დაქირავებული 31,4%. სავარაუდოდ დაპატიმრებამდე დაქირავებულების დიდ ნაწილსაც, ისევე როგორც პირობით მსჯავრდებულებს, გათავისუფლების შემდეგ შეექმნებათ დასაქმების პრობლემა, რაც გაართულებს მათ საზოგადოებაში სრულფასოვან დაბრუნებას და გაზრდის რეციდივის რისკს.



დიაგრამა 4 მსჯავრდებულების დასაქმების სტატუსი დაპატიმრებამდე




პატიმრობამდე დაოჯახებული პირობით მსჯავრდებულების უმრავლესობამ (85,7%) შეინარჩუნა ოჯახური მდგომარეობა. თუმცა განქორწინების 14,9%-იანი მაჩვენებელი, მაინც ყურადსაღებია.


**ფიზიკური ჯანმრთელობა და ფსიქოლოგიური მდგომარეობა**

გამოკითხულთა ნახევარზე მეტს არ აქვს ჯანმრთელობის პრობლემა, თუმცა დაახლოებით მეოთხედს პატიმრობის დროს გაუუარესდა ჯანმრთელობის მდგომარეობა. პატიმრობის დროს შეძენილი დაავადებებიდან ყველაზე ხშირად სახელდება ტუბერკულოზი (13 შემთხვევა, 6,2%), საჭმლის მომნელებელი ტრაქტის დაავადებები (8 შემთხვევა, 3,8%) და C ჰეპატიტი (6 შემთხვევა 2,9%).

დიაგრამა 5 მსჯავრდებულებისა და პირობით მსჯავრდებულების ჯანმრთელობის მდგომარეობა




დიაგრამა სასაჯელის მოხდის ადგილებში სამედიცინო მომსახურების შეფასება




სასაჯელაღსრულების დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურებით კმაყოფილება უფრო დაბალია ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებს შორის, ჯანმრთელობის პრობლემების არ მქონეებთან შედარებით. ფრაზებს „მსჯავრდებულებს ემსახურება კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი“ და „არსებობს ექიმის მომსახურების დროულად მიღების შესაძლებლობა“ უფრო მეტად ეთანხმებიან ჯანმრთელი რესპონდენტები.

გამოკითხულები ადასტურებენ, რომ პატიმრობის დროს აღენიშნებოდათ ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუარესება, რომელიც მთელი რიგი ფსიქო-სომატური სიმპტომებით ვლინდებოდა. ფსიქოლოგიური პრობლემების უმრავლესობას მსჯავრდებულები უფრო ასახელებენ, ვიდრე პირობით მსჯავრდებულები, რაც შესაძლოა გამოწვეულია იმით, რომ ნეგატიური წარსულის გახსენებისას პრობლემების აღქმის სიმწვავე კლებულობს.




პირობით მსჯავრდებულები აგრეთვე აფასებდნენ რამდენად ხშირად ჰქონიათ იგივე სიმპტომები გათავისუფლების შემდგომ, მონაცემებიდან ჩანს, რომ ამ სიმპტომების გამოვლინების სიხშირე გათავისუფლების შემდეგ შემცირდა.

დიაგრამა 8 ფსიქო-სომატური სიმპტომების გამოვლინება სასჯელის მოხდის პერიოდში და გათავისუფლების შემდეგ. პირობით მსჯავრდებულები




გათავისუფლების შემდეგ პირობით მსჯავრდებულების ნახევარზე მეტს ციხეში ყოფნის სცენები ახსენდებათ, დაახლოებით მეხუთედი საზოგადოებისგან გარიყულად გრძნობს თავს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სოციალური მიუღებლობის განცდა უფრო მეტად აქვთ საზოგადოების ფართო წრის მიმართ, ვიდრე ახლობლებისგან.

დიაგრამა 9 სიმპტომები, რომელიც განვითარდა გათავისუფლების შემდეგ. პირობით მსჯავრდებულები



საზოგადოებისგან მიუღებლობას უფრო მეტად გრძნობენ უმუშევარი პირობით მსჯავრდებულები.


დიაგრამა 10 გათავისუფლების შემდეგ განვითარებული სიმპტომები დასაქმების წრილში



## პატიმრობის პირობები

მსჯავრდებულების მიერ სასჯელის მოხდის ადგილებში არსებული პირობების შეფასებისას მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა იმის მიხედვით თუ რომელ დაწესებულებაში იხდიან მსჯავრდებულები სასჯელს. მსჯავრდებულების შეფასებით ქსნის #15 დაწესებულებაში სასჯელის მოხდის პირობები დანარჩენ ორ დაწესებულებასთან შედარებით უკეთესია. ხოლო ყველაზე უარესი რუსთავის N16-ში.

დიაგრამა 11 სასჯელის მოხდის ადგილებში არსებული პირობების შეფასება, მსჯავრდებულები




სასჯელადსრულების დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგის შესახებ სპეციალურ ანგარიშში<sup>5</sup> ნახსენებია, რომ „არასათანადო მოპყრობა კვლავ წარმოადგენს პენიტენციური


<sup>5</sup> სპეციალური ანგარიში საქართველოს სასჯელადსრულების დაწესებულებებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ 2011 წლის პირველი ნახევარი

სისტემის პრობლემას“. გამოკითხვის შედეგები ადასტურებს, რომ პერსონალის მხრიდან მსჯავრდებულებისადმი მოპყობა რიგ შემთხვევაში ლახავს მათ უფლებებს. გამოკითხული პირობით მსჯავრდებულების 57% და მსჯავრდებულების 40% თვლის, რომ პერსონალის დამოკიდებულება მსჯავრდებულების მიმართ არაჰუმანურია, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ადამიანის წამების ფაქტების არსებობის შესახებ კი აცხადებს პირობით მსჯავრდებულების 31% და მსჯავრდებულების 38%.

დიაგრამა 12 მსჯავრდებულთა მიმართ პერსონალის დამოკიდებულების შეფასება




დიაგრამა 13 სასჯელაღსრულების დაწესებულებებში წამების შემთხვევების არსებობა, პირობით მსჯავრდებულებისა და მსჯავრდებულების დამოკიდებულება





სასჯელაღსრულების დაწესებულებების პერსონალის მხრიდან მსჯავრდებულებისადმი მოპყრობის შეფასება განსხვავებულია დაწესებულებების მიხედვით. რუსთავის #16 დაწესებულებაში გამოკითხული მსჯავრდებულების ნახევარზე მეტი თვლის, რომ საპატიმროში არსებობს ადამიანის წამების შემთხვევები, თითქმის ორი მესამედი კი თვლის, რომ პერსონალის დამოკიდებულება მსჯავრდებულის მიმართ არაჰუმანურია. მსჯავრდებულების შეფასებით ამ კუთხით მდგომარეობა ყველაზე უკეთესადაა ქსნის #15 დაწესებულებაში.

დიაგრამა 14 სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მსჯავრდებულების მიმართ დამოკიდებულების შეფასება სასჯელაღსრულების დაწესებულებების მიხედვით



პენიტენციური ჯანდაცვის ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტადაა გამოცხადებული<sup>6</sup>. ოფიციალური განცხადების მიხედვით<sup>7</sup> „სამედიცინო პერსონალის რაოდენობა ადგილებზე შეესაბამება ქვეყანაში არსებული ჯანდაცვის სტანდარტებით გათვალისწინებულ ნორმებს“. სახალხო დამცველის ანგარიშში ნახსენებია, რომ სახალხო დამცველის

<sup>6</sup> [http://www.mcla.gov.ge/index.php?action=page&p\\_id=88&lang=geo](http://www.mcla.gov.ge/index.php?action=page&p_id=88&lang=geo)

<sup>7</sup> [http://www.mcla.gov.ge/?action=page&p\\_id=274&lang=geo](http://www.mcla.gov.ge/?action=page&p_id=274&lang=geo)

პრევენციული ჯგუფის მიერ ვერ იქნა მოძიებული რაიმე ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სამედიცინო პერსონალის რაოდენობას პენიტენციულ დაწესებულებებში. სახალხო დამცველის ანგარიშში ასევე მოცემულია სასჯელის მოხდის დაწესებულებებში სამედიცინო პერსონალის რაოდენობის მონიტორინგის შედეგები, საიდანაც ირკვევა, რომ ექიმი/პაციენტის თანაფარდობა (1 ექიმზე რამდენი მსჯავრდებული მოდის) მნიშვნელოვნად ცვალებადობს დაწესებულებების მიხედვით. მონიტორინგის განხორციელების პერიოდში მოქმედი სასჯელადსრულების 16<sup>8</sup> დაწესებულებიდან 11 დაწესებულებაში ექიმ-პაციენტის თანაფარდობა იყო ქვეყანაში არსებულ თანაფარდობაზე მნიშვნელოვნად მეტი. (იხ. ცხრილი 4.) თუ მაგალითად ქვეყნის მასშტაბით 1 ექიმზე საშუალოდ მოდის 142 მოქალაქე, თბილისის #12 დაწესებულებაში 1 ექიმზე მოდის 265 მსჯავრდებული, №16 რუსთავის დაწესებულებაში 365 მსჯავრდებული, ხოლო ქსანის №15 დაწესებულებაში 408 მსჯავრდებული. ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ სასჯელადსრულების დაწესებულებებში სახეზეა კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის დეფიციტი.

ცხრილი 4 სასჯელადსრულების დაწესებულებებში ექიმი / მსჯავრდებულის თანაფარდობა<sup>9</sup>

სასჯელადსრულების დაწესებულება	ექიმ / პაციენტის თანაფარდობა (1 ექიმზე რამდენი მსჯავრდებულია)
№13 ხონი	18.25
№7 თბილისი	39
№11 თბილისი	54.6
№3 ბათუმი	130.4
№4 ზუგდიდი	130.4
საქართველო	142.7
№5 რუსთავი	144.6
№2 ქუთაისი	207.3
№8 თბილისი	233.6
№12 თბილისი	265.3
№1 თბილისი	268.5
№6 რუსთავი	298.5
№9 თბილისი	348
№16 რუსთავი	365.7
№17 რუსთავი	396
№15 ქსანი	408.8
№14 გეგუთი	673.25


გამოკითხვის მონაცემები ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ დროული და კვალიფიციური სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობა ხშირ შემთხვევაში პრობლემას წარმოადგენს. მსჯავრდებულების 36,2% და პირობით მსჯავრდებულების 39% თვლის, რომ სასჯელის მოხდის დაწესებულებაში არ არსებობს ექიმის მომსახურების დროულად

<sup>8</sup> კვლევის ჩატარების დროს ფუნქციონირებდა 19 სასჯელადსრულების დაწესებულება

<sup>9</sup> <http://www.ombudsman.ge/files/downloads/ge/rkxsyledjbezmfnjgilt.pdf>

მიღების შესაძლებლობა. მსგავსი შეფასება მივიღეთ კვალიფიციური სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობაზეც.

დიაგრამა 15 სასჯელის მოხდის ადგილებში სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობის შეფასება, პირობით მსჯავრდებულები, მსჯავრდებულები



საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემას დაქვემდებარებულ 19 დაწესებულებაში არსებული საპატიმრო ადგილების საერთო ლიმიტირებული რაოდენობა 24 650-ს შეადგენს. 2011 წლის დეკემბრის მონაცემებით ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა (24 114) ამ ზღვარზე 536 ერთეულით ანუ 2.2%-ით ნაკლებია. თუმცა დაწესებულებების მიხედვით განსხვავებული მდგომარეობაა განთავსებული მსჯავრდებულების რაოდენობის დადგენილ ლიმიტზე სიჭარბე / ნაკლებობის კუთხით. 2011 წლის დეკემბრის მონაცემებით 19 დაწესებულებიდან 8 დაწესებულებაში დადგენილ ლიმიტთან შედარებით მეტი მსჯავრდებული იყო განთავსებული. გამოკითხვის ჩატარების პერიოდისთვის (2011 წლის დეკემბერი), იმ სამი დაწესებულებიდან, სადაც ჩატარდა მსჯავრდებულთა გამოკითხვა, ორ დაწესებულებაში ლიმიტზე მეტი მსჯავრდებული იყო განთავსებული, ხოლო 1 დაწესებულებაში ნაკლები.

ცხრილი 5 გამოკითხვის ადგილებში განთავსებული მსჯავრდებულების რაოდენობა და განთავსების ლიმიტი<sup>10</sup>

	2011 წლის დეკემბერი			
	განთავსების ლიმიტი	სულ განთავსებულია მსჯავრდებული	ზედმეტობა / ნაკლებობა	ზედმეტობის /ნაკლებობის %


<sup>10</sup> წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში, 2011 წელი

№15 დაწესებულება, დაბა ქსანი	3300	3645	+345	+10,50%
№12 დაწესებულება, ქ. თბილისი	700	849	+149	+21,30%
№16 დაწესებულება, ქ. რუსთავი	2704	2515	-189	-7%

რესპონდენტები აფასებდნენ სასჯელის მოხდის ადგილებში არსებული პირობებს.

გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარი ეთანხმება მოსაზრებას, რომ საკნებში მსჯავრდებულების რაოდენობა შეესაბამება ფართს. მსჯავრდებულთა 60% და პირობით მსჯავრდებულების 62,9% კი თვლის, რომ საცხოვრებელი პირობები დამაკმაყოფილებელია. პატიმრობის პერიოდში განმარტოების შესაძლებლობა პირობით მსჯავრდებულების მესამედზე ნაკლებს ჰქონდა, მსჯავრდებულების თითქმის ნახევარი აცხადებს, რომ განმარტოების შესაძლებლობა აქვს. მსჯავრდებულების ორ მესამედზე მეტი თვლის, რომ პირადი ჰიგიენის დაცვა შესაძლებელია, თუმცა მათ შორის უმრავლესობა არის ქსნის #15 დაწესებულების მსჯავრდებულები.

დიაგრამა 16 სასჯელადსრულების დაწესებულებებში ცხოვრების პირობების შეფასება




ინფორმაციის მიღების მთავარი საშუალება მსჯავრდებულებისთვის არის ტელევიზია, სატელეფონო საუბრები ოჯახის წევრებთან / ახლობლებთან და პაემანის დროს ოჯახის წევრებთან კომუნიკაცია. პრესის და რადიოს საშუალებით ინფორმაციას უფრო მეტად იღებენ თბილისის #12 დაწესებულებაში.

ვიდეოპაემანის სერვისი დანერგვა 2011 წლის მაისიდან დაიწყო. ვიდეოპაემანის საშუალებით, ნებისმიერ პირს შეუძლია მსჯავრდებულთან დაკავშირება. ამ სერვისით


სარგებლობა მსურველს შეუძლია პრობაციის ბიუროებიდან (11 ქალაქი). 15 წუთიანი ვიდეო პაემანის ღირებულება 15 ლარია. გამოკითხვის პერიოდისთვის ვიდეო პაემანით სარგებლობა შეეძლოთ მხოლოდ არასრულწლოვანთა №11, ქსნის №15 და ქუთაისის №2 მსჯავრდებულებს. მსჯავრდებულების გამოკითხვის ადგილებიდან ვიდეო პაემანით სარგებლობა გამოკითხვის დროისთვის შესაძლებელი იყო მხოლოდ ქსნის №15 დაწესებულებაში. გამოკითხულთა შორის მხოლოდ 2 მსჯავრდებულისთვის იყო ვიდეო პაემანი ინფორმაციის მიღების წყარო.

დიაგრამა 17 სასჯელადსრულების დაწესებულებებში ინფორმაციის მიღების საშუალებები




სასჯელის მოხდის ადგილზე მსჯავრდებულების უმრავლესობა საუბრობს სხვა მსჯავრდებულებთან, სეირნობს, უყურებს ტელევიზორს. ხშირად კითხულობს და ლოცულობს მსჯავრდებულების ნახევარზე მეტი. სწავლის და ახალი პროფესიის შექმნის შესაძლებლობა აქვს მხოლოდ მსჯავრდებულების 17%-ს. ციხის საწარმოში დასაქმებულია რესპონდენტების 3,8%.


დიაგრამა 18 რით არიან დაკავებულები სასჯელის მოხდის ადგილებში. მსჯავრდებულები



განსხვავებები გამოვლინდა მსჯავრდებულების დაკავებულობის კუთხით სასჯელაღსრულების დაწესებულებების მიხედვით. ყველაზე დიდი განსხვავება გამოვლინდა შემდეგი სახის აქტივობებში: ლოცვა - თბილისის #12 და რუსთავის #16 მსჯავრდებულების 80%-ზე მეტი ხშირად ლოცულობს, მაშინ როცა ქსანის დაწესებულებაში მხოლოდ 37,7% ლოცულობს ხშირად. კითხვა ყველაზე პოპულარულია რუსთავის #16 დაწესებულებაში, ხოლო ყველაზე ნაკლებად კითხულობენ ქსანის დაწესებულებაში. ტელევიზორს უფრო მეტად უყურებენ თბილისის #12 და ქსანის დაწესებულებაში. მსჯავრდებულებს ახალი პროფესიის / ხელობის შეძენის შესაძლებლობა კი უფრო მეტად ჰქონდათ თბილისისა და რუსთავის დაწესებულებებში. ძალიან მცირე ნაწილს ეძლევა საშუალება დასაქმდეს ციხის საწარმოში, ქსანის #15 და რუსთავის #16 დაწესებულებებში ფუნქციონირებს პურის საცხობი, სადაც მსჯავრდებულები გაწეული შრომისთვის ყოველთვიურ ანაზღაურებას იღებენ.



პირობით მსჯავრდებულები ასევე იხსენებდნენ რითი იყვნენ დაკავებულები სასჯელის მოხდის ადგილებზე პატიმრობის დროს. ამ მონაცემებიდან მნიშვნელოვანია ის, რომ ახალი პროფესიის / ხელობის შეძენა უფრო ნაკლებ პირობით მსჯავრდებულს (1,9%) (ყოფილ მსჯავრდებულსს) შეეძლო, ვიდრე ამჟამინდელ მსჯავრდებულებს (17,1%).




### გათავისუფლების შემდგომი გეგმები და პრობლემები


გათავისუფლების შემდეგ პირობით მსჯავრდებულები ყველაზე მეტად სამი სახის პრობლემის წინაშე დადგნენ: ფინანსური პრობლემები, დაუსაქმებლობა და ჯანმრთელობის პრობლემები. მსჯავრდებულები უფრო მძაფრად აღიქვამენ მოსალოდნელ პრობლემებს. უფრო მეტი მსჯავრდებული რესპონდენტი თვლის, რომ გათავისუფლების შემდეგ მათ ფინანსური და ჯანმრთელობის პრობლემები ექნებათ. ნახევარზე მეტს ასევე აქვს საპატიმროში უსამართლოდ დაბრუნების შიში. კითხვარში მოცემული პრობლემების გარდა, რამოდენიმე მსჯავრდებულმა დაასახელა საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულება ნასამართლეობის სტატუსის მქონე პირების მიმართ.



დიაგრამა 21 პრობლემები, რომელთა წინაშე დადგნენ გათავისუფლების შემდეგ პირობით მსჯავრდებულები



დიაგრამა 22 პრობლემები, რომლის წინაშე დადგებიან მსჯავრდებულები გათავისუფლების შემდეგ



## საზოგადოებაში სრულფასოვანი დაბრუნებისთვის საჭირო ღონისძიებების შეფასება

სასჯელის მოხდის შემდეგ ყოფილი მსჯავრდებული დგება რიგი პრობლემების წინაშე, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი მსჯავრდებულებისა და პირობით მსჯავრდებულების შეფასებითვე არის ფინანსური პრობლემები და დაუსაქმებლობა. მათთვის, ვინც ამ პრობლემებს ვერ გადაჭრის, დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის და საპატიმროში დაბრუნების რისკი მაღალია. განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკის შემცირებისთვის აუცილებელია რესოციალიზაციისა და რეინტეგრაციის ღონისძიებების განხორციელება.

მსჯავრდებულთა და პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მხარდაჭერა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს ერთ-ერთი დეკლარირებული პრიორიტეტია. ამ მიმართულებით 2011 წლის განმავლობაში გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, კერძოდ დაინერგა შემდეგი სერვისები:

- *ხანგრძლივი პაემანი* - მსჯავრდებულს უფლება აქვს 24 საათის განმავლობაში იცხოვროს შვილთან, ნაშვილებთან, მეუღლესთან, მშობელთან, მშვილებელთან, დასთან და მმასთან ერთად. ამ სერვისით სარგებლობა სრულწლოვან მსჯავრდებულს შეუძლია წელიწადში ორჯერ და წახალისების მიზნით მესამედ, ხოლო არასრულწლოვანს წელიწადში სამჯერ და წახალისების მიზნით მეოთხედ. 2011 წლის განმავლობაში ხანგრძლივი პაემანის სერვისი დაინერგა 5 დაწესებულებაში<sup>11</sup>.
- *ვიდეოპაემანი* - პრობაციის რეგიონალურ ბიუროებში დამონტაჟებული სპეციალური ვიდეო ტექნიკის მეშვეობით, ნებისმიერ მსურველს შეუძლია ესაუბროს მსჯავრდებულს, მისი თანხმობის შემთხვევაში. ეს სერვისი 2011 წლის განმავლობაში დაინერგა 5 დაწესებულებაში<sup>12</sup>.
- *პროფესიული განათლება* - სამინისტროსა და სხვადასხვა უნივერსიტეტებს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც მოხდა საგანმანათლებლო კონცეფციის შემუშავება და სასწავლო პროგრამების შექმნა. იგეგმება ბუღალტერიის, ბიზნეს-მენეჯმენტის, კომპიუტერის და ინგლისური ენის სწავლება. ასევე შეიქმნება სახელობო კურსები, სადაც მსჯავრდებულები სხვადასხვა ხელობის (მშენებელი, მღებავი, ელექტრიკოსი, მეფილე-მომპირკეთებელი) დაუფლებას შეძლებენ. "საგანმანათლებლო სახლები" გაიხსნა რუსთავის №16 დაწესებულების ტერიტორიაზე და გეგუთის №14 სასჯელაღსრულების

<sup>11</sup> ხანგრძლივი პაემანი 2011 წლის განმავლობაში დაინერგა № 6 პატიმრობის ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის, № 11 არასრულწლოვანთა სპეციალურ, №14 გეგუთის ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის, №16 რუსთავის ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის და №17 რუსთავის ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში.

<sup>12</sup> ვიდეო პაემანი 2011 წლის განმავლობაში დაინერგა არასრულწლოვანთა №11, ქსნის №15, რუსთავის №16, ქუთაისის №2 და რუსთავის №17 დაწესებულებებში.

დაწესებულებაში. ინფრასტრუქტურა შექმნილია ქსნის №15 დაწესებულებაში, სწავლის პროცესი კი 2012 წლიდან იწყება.

- *სარეაბილიტაციო პროგრამები* - სამინისტრო თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ეკლესიასთან, რომლებიც სხვადასხვა პროექტების ფარგლებში ახორციელებენ სარეაბილიტაციო და სარეინტეგრაციო ღონისძიებებს. 2011 წლის განმავლობაში ქსნის №15, რუსთავის №16 და თბილისის №12 დაწესებულებებში ხორციელდება მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამები<sup>13</sup>. ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები მსჯავრდებულებთან მუშაობას გათავისუფლებამდე 4-6 თვით ადრე იწყებენ და მათ სხვადასხვა პრობლემების მოგვარებაში ეხმარებიან.
- *დასაქმება* - დაწესებულებებში ფუნქციონირებს მცირე საწარმო, სადაც მსჯავრდებულები არიან დასაქმებულნი და შესაბამის ანაზღაურებას იღებენ.

სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიშის მონაცემების მიხედვით მსჯავრდებულები 2011 წლის განმავლობაში ჩართულები იყვნენ შემდეგი სახის პროგრამებში:

- ფსიქო სოციალური რეაბილიტაცია
- პროფესიული განათლება
- სახელობო განათლება
- პროფესიული გადამზადება
- უმაღლესი განათლება
- ზოგადი განათლება
- სპორტი
- კულტურული ღონისძიებები
- შრომა

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, რომ ყველაზე გავრცელებულია მსჯავრდებულთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია, ამ სახის პროგრამებში თვეში საშუალოდ 150 მსჯავრდებულია ჩართული, რაც მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 0,6%-ია. არარეგულარული და მცირე მასშტაბიანია ისეთი პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობს ზრდასრული მსჯავრდებულების მომავალ დასაქმებას: პროფესიული და სახელობო განათლება, პროფესიული გადამზადება. როგორც გამოკითხვის შედეგებიდან ირკვევა, ამ სახის პროგრამების საჭიროებას რესპონდენტების ნახევარზე მეტი მიიჩნევს.

<sup>13</sup> ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი “ოთხი რ-ს დანერგვა საქართველოში: რეაბილიტაცია, რეინტეგრაცია და რეციდივიზმის რედუქცია (შემცირება) მსჯავრდებულთა და ყოფილ მსჯავრდებულთა შორის”, განმახორციელებელი ორგანიზაცია GCRT .

ცხრილი 6 რესოციალიზაციის პროგრამებში ჩართული მსჯავრდებულების რაოდენობა თვეების მიხედვით, 2011 წელი<sup>14</sup>

	სულ	ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია	პროფესიული განათლება	სახელოვნო განათლება	სპორტი	ზოგადი განათლება	შრომ	კულტურული ღონისძიებები	უმადლევი განათლება	გადამზადება
იანვარი	247	55	48	8		94	30			12
თებერვალი	801	77	50	10		100	29	120		415
მარტი	613	140	50	27		102	29			265
აპრილი	498	239	60	27	30	103	25			14
მაისი	740	239	111	48	35	104	25	150		28
ივნისი	592	191	51	21	35	106	25			163
ივლისი	224	161			35	3	25			
აგვისტო	156	89			35	3	29			
სექტემბერი	347	105			35	102	25	80		
ოქტომბერი	440	150	50		75	103	25	36	1	
ნოემბერი	393	141	81		35	102	33		1	
დეკემბერი	589	163	134	10	35	96	32	119		

**შენიშვნა:** რესოციალიზაციის პროგრამებში ჩართული პირების შესახებ მონაცემებში შედის როგორც მიმდინარე, ისე საანგარიშო თვეში დასრულებული პროგრამების მონაწილეების რაოდენობა. შესაბამისად ამ მონაცემებით ვერ ვიტყვით სულ რამდენი ადამიანი იყო წლის განმავლობაში ჩართული ამათუიმ სახის რესოციალიზაციის პროგრამაში.

მსჯავრდებულ და პირობით მსჯავრდებულ რესპონდენტებს შესაფასებლად ეძლეოდათ მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩამონათვალი, რომელთა მნიშვნელოვნებას აფასებდნენ 4 ქულიან სკალაზე. აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულები და პირობით მსჯავრდებულები თანაბრად მნიშვნელოვნად აღიქვამენ „მსჯავრდებულის მომზადებას სამუშაოს ძიებისთვის“. ყველა სხვა სარეაბილიტაციო ღონისძიების მნიშვნელობას უფრო მეტად მსჯავრდებულები გრძნობენ, ვიდრე პირობით მსჯავრდებულები. ასეთი შედეგი როგორც ჩანს გამოწვეულია იმით, რომ გამოკითხული პირობით მსჯავრდებულები საპატიმროდან მინიმუმ 6 თვის წინ გათავისუფლდნენ და ამ პერიოდისთვის პირობით მსჯავრდებულთა მცირე ნაწილმა მოახერხა სხვა სახის პრობლემების მოგვარება, შესაბამისად მათთვის ზოგიერთი სარეაბილიტაციო ღონისძიებების მნიშვნელოვნება შემცირდა. მიუხედავად ამისა, პირობით


<sup>14</sup> წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში, 2011 წელი

მსჯავრდებულების მინიმუმ ნახევარი აღნიშნავს სარეაბილიტაციო ღონისძიებების მნიშვნელოვნებას.


მსჯავრდებულების დიდი უმრავლესობისთვის გათავისუფლებისთვის მომზადების ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება ფსიქოლოგიური მომზადებაა (84,8%). მათთვის ასევე მნიშვნელოვანია ინფორმირება უფლება-მოვალეობების შესახებ, ინფორმირება პრობაციის სერვისების შესახებ, პირადი დოკუმენტაციის მოწესრიგება და სამუშაოს ძიებისთვის მომზადება. პირობით მსჯავრდებულების აზრით, კი ყველაზე მნიშვნელოვანია სამუშაოს ძიებისთვის მსჯავრდებულების მომზადება.

ოჯახის წევრებთან ურთიერთობის მოწესრიგებაში დახმარება მსჯავრდებულებს უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, ვიდრე პირობით მსჯავრდებულებს. პირობით მსჯავრდებულების უმრავლესობა თვლის, რომ ამ პრობლემაში მოგვარებაში დახმარება არ არის მნიშვნელოვანი.

დიაგრამა 23 გათავისუფლების შემდგომი სარეაბილიტაციო ღონისძიებების მნიშვნელოვნების შეფასება




საზოგადოებასთან სრულფასოვანი დაბრუნებისთვის საჭირო ღონისძიებების დასახელებაში მსჯავრდებულები უფრო მეტად აქტიურობდნენ. ყველაზე მეტად ისეთი სახის აქტივობებს ასახელებდნენ, რომლებიც მათ დაეხმარებათ დასაქმებაში: სამუშაო ადგილების შესახებ ინფორმაციის მოძიება (59%), სამუშაოს ძიების უნარჩვევების სწავლება (58%), CV-ის შედგენა (47,6%), საკუთრი თავის წარდგენის უნარჩვევების გამომუშავება (45,7%). მსჯავრდებულების მესამედზე მეტს სურს შეიძინოს ახალი პროფესია, მიიღოს ან გააგრძელოს განათლების მიღება.




შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ისეთი სახის დახმარებას, რომელიც მიმართულია სხვადასხვა სახის ფსიქოლოგიური პრობლემების მოგვარებაზე, თუმცა ამ ღონისძიებების საჭიროებასაც უფრო მეტად მსჯავრდებულები აღიქვამენ, ვიდრე პირობით მსჯავრდებულები.

დიაგრამა 25 ფსიქოლოგიური დახმარების საჭიროების შეფასება



მსჯავრდებულების ნახევარზე მეტს მიაჩნია, რომ სჭირდება იურიდიული კონსულტაცია დოკუმენტების მოწესრიგებაში, მესამედზე მეტს კი სხვა სახის სამართლებრივი საკითხების მოგვარებაში სურს დახმარება.

დიაგრამა 26 იურიდიული დახმარების საჭიროების შეფასება




გათავისუფლების შემდგომი გეგმები აქვს მსჯავრდებულების 75%-ს. დაახლოებით მეხუთედი (19,7%) თვლის, რომ დაუბრუნდება იმ საქმიანობას, რომლითაც დაკავებული იყო დაპატიმრებამდე. ნახევარზე ცოტა მეტი აპირებს ახალ საქმიანობას მიყოს ხელი (ბიზნესი 17,5%, სოფლის მეურნეობა 16,9%, ახალი პროფესიის / ხელობის შეძენა 17,5%). ყოველი მეათე ფიქრობს, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ შესძლებს ცხოვრების გაგრძელებას.

პირობით მსჯავრდებულების 70,5%-მა განაცხადა, რომ აქვს მომავალი გეგმები. თითქმის მეოთხედი (23,5%) აპირებს გააგრძელოს ის საქმიანობა, რითაც პატიმრობამდე იყო დაკავებული, თითქმის ნახევარი (47%) ფიქრობს, რომ შეიცვლის საქმიანობას (ბიზნესი 18,2%. სოფლის მეურნეობა 14,4%, ახალი პროფესიის/ხელობის შეძენა 14,4%), 14,4% აპირებს საზღვარგარეთ სცადოს ბედი.

დაახლოებით ყოველი მეათე პირობით მსჯავრდებული და მსჯავრდებული რელიგიურ საქმიანობას აპირებს, როგორც ჩანს ასეთი გადაწყვეტილება გამოწვეულია ეკლესიის აქტიური თანამშრომლობით სასჯელაღსრულების დაწესებულებებთან და პრობაციის სააგენტოსთან.



დიაგრამა 27 გათავისუფლების შემდეგ გეგმები



## პრობაციის ეროვნული სააგენტოს რესოციალიზაციის კუთხით გაწეული საქმიანობის შეფასება

პრობაციის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტია პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია, რეაბილიტაცია და დანაშაულის პრევენცია. ამ ამოცანის შესასრულებლად სააგენტო თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ეკლესიასთან.

პრობაციის სააგენტოს ადგილობრივი ბიუროები მათ კონტროლს დაქვემდებარებული პირების დასაქმების მიზნით მოლაპარაკებებს აწარმოებენ სხვადასხვა ორგანიზაციებთან / კომპანიებთან. ერთეულ შემთხვევაში ხერხდება პირობით მსჯავრდებულების დასაქმება.

დასაქმებაში ხელშეწყობის გარდა, სააგენტო ჩართულია ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის პროგრამებში, რომლებიც სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით ტარდება. ამ პროგრამების ფარგლებში პირობით მსჯავრდებულები ესწრებიან ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კურსებს.

პრობაციის ოფიცრები პირობით მსჯავრდებულთა პროფესიული გადამზადების პროცესში დახმარებას სასწავლო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით ახერხებენ.

პრობაციის ოფიცრების ერთ-ერთი ფუნქციაა პირობით მსჯავრდებულებისთვის სარეაბილიტაციო და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმების შემუშავება, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი დანაშაულის რეციდივი.

პირობით მსჯავრდებულების რესოციალიზაციის შესახებ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა, რომ ყველაზე გავრცელებულია პირობით მსჯავრდებულების ჩართვა საზოგადოებრივ კულტურულ საქმიანობაში და სპორტულ ღონისძიებებში, ყველაზე იშვიათი კი მათი პროფესიული გადამზადების, სახელობო სწავლების პროგრამებში ჩართვაა.

ცხრილი 7 რესოციალიზაციის პროგრამებში ჩართული პირობით მსჯავრდებულების რაოდენობა თვეების მიხედვით, 2011 წელი<sup>15</sup>

	დასაქმება	სოციალური დახმარება	საზოგადოებრივ კულტურული საქმიანობა	სარეაბილიტაციო -სამკურნალო	საგანმანათლებლო პროგრამები	სპორტული ღონისძიებები	გადამზადება	სახელობო სწავლება
იანვარი	1	1						
თებერვალი	4					38		


<sup>15</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში, 2011 წელი

მარტი	7			4	10			
აპრილი	7		27	10	1			9
მაისი	9	3	27		1	25		
ივნისი	6		39		14	6	5	
ივლისი	4	4	15					
აგვისტო	2		45	25				
სექტემბერი	4		95		11	28	5	
ოქტომბერი	3		15	36	52	14	55	
ნოემბერი		8	12	30		21	14	
დეკემბერი	6	4	13	24	20			

პირობით მსჯავრდებულ რესპონდენტებს გამოკითხვისას დაესვათ შეკითხვა პრობაციის სააგენტოსთან ურთიერთობის შესახებ.


უკლებლივ ყველა პირობით მსჯავრდებული დადგენილი პერიოდულობით ცხადდება პრობაციის ეროვნულ სააგენტოში. გარდა ამისა, ორ მესამედზე მეტს აქვს მუდმივი კონტაქტი პრობაციის ოფიცერთან. გამოკითხულთა 14% დასწრებია პრობაციის სააგენტოს ხელშეწყობით ორგანიზებულ ტრენინგებს, 8% ფსიქო-რეაბილიტაციის კურსებს, მცირე ნაწილი (2,9%) სააგენტოს დახმარებით დასაქმდა. მიუხედავად იმისა, რომ პრობაციის ოფიცრების ერთ-ერთი მოვალეობაა პირობით მსჯავრდებულებისთვის სარეაბილიტაციო და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შემუშავება, გამოკითხული პირობით მსჯავრდებულების მხოლოდ 7,6% აცხადებს, რომ პრობაციის ოფიცერმა მათ შეუდგინა ინდივიდუალური გეგმა. ასეთი დაბალი მაჩვენებელი როგორც ჩანს გამოწვეულია იმით, რომ თითოეულ ოფიცერზე მიმაგრებულია 300-ზე მეტი პირობით მსჯავრდებულის საქმე, რაც აფერხებს მათთან ინდივიდუალური მუშაობის ეფექტიანობას.

დიაგრამა 28 პირობით მსჯავრდებულთა ურთიერთობა პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან



პირობით მსჯავრდებულები ასევე აფასებდნენ პრობაციის სააგენტოს საქმიანობას სოციალური რეაბილიტაციის და რესოციალიზაციის კუთხით. ყველაზე ეფექტურად პირობით მსჯავრდებულები მიიჩნევენ სააგენტოს დახმარებას დასაქმებაში და ფსიქოლოგიურ კონსულტაციაში, ყველაზე ნაკლებად ეფექტურად კი ტრენინგებზე დასწრებას და ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას. პირობით მსჯავრდებულების ნახევარზე მეტმა (55,2%) არ იცის ინდივიდუალური გეგმის შემუშავების ფუნქციის შესახებ ან არ შეუძლია შეაფასოს სააგენტოს საქმიანობა ამ კუთხით.

დიაგრამა 29 პრობაციის სააგენტოს საქმიანობის ეფექტურობა პირობით მსჯავრდებულთა სოციალური რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციის მხრივ



პირობით მსჯავრდებულების 89,5%-მა განაცხადა, რომ პრობაციის სააგენტოსთან ურთიერთობისას არანაირი პრობლემა არ შექმნიათ. მათ ვინც განაცხადა, რომ ჰქონია სააგენტოსთან პრობლემა, დაასახელა არა ურთიერთობის პრობლემა, არამედ უკანონო მოთხოვნა, რომლის დაკმაყოფილებას კანონი არეგულირებს (ავტომობილის მართვის უფლების მიღება, საქართველოს ტერიტორიის დატოვება . . .)

სოციალურ მუშაკებთან დაკავშირებული კითხვები ესმებოდათ მხოლოდ პირობით მსჯავრდებულებს, იმის გამო, რომ მსჯავრდებულების გამოკითხვას ესწრებოდნენ სოციალური მუშაკები, ჩავთვალოთ რომ მსჯავრდებულების პასუხები სოციალური მუშაკების შესახებ არ იქნებოდა გულწრფელი. პირობით მსჯავრდებულების 61% აცხადებს, რომ ჰქონდათ შეხება დაწესებულების სოციალურ მუშაკებთან. მათგან ვისაც ჰქონდა შეხება სოციალურ მუშაკებთან ურთიერთობა, 62% (გამოკითხული პირობით მსჯავრდებულების 33%) აცხადებს, რომ მათი საქმიანობა ეფექტური იყო.

## 2. ხარისხობრივი კვლევის შედეგები

---

### მსჯავრდებულებთან და პირობით მსჯავრდებულებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების შედეგები

1. რა მოლოდინები ჰქონდათ / აქვთ საპატიმროდან გათავისუფლების შემდგომი ცხოვრების მიმართ?

„პრობლემებიდან გაქცევა“ - ნაწილი პირობით მსჯავრდებულებისა აცხადებდა, რომ ცდილობდნენ არ ეფიქრათ იმაზე, თუ რა იქნებოდა გათავისუფლების შემდეგ. მომავალი იმდენად განუსაზღვრელი და საშიში იყო მათთვის, რომ ერჩივნათ საერთოდ არ ეფიქრათ მასზე. მსჯავრდებულების ჯგუფშიც ანალოგიური მდგომარეობა დაფიქსირდა: სანამ პატიმრობაში არიან ცდილობენ არ იფიქრონ იმაზე, თუ რა პრობლემები შეიძლება მოუტანოს მათ პატიმრობამ განთავისუფლების შემდეგ. „ახლა არც ვფიქრობ ამაზე, უფრო სწორად არ მინდა რომ ვიფიქრო“.

„სოციალური ურთიერთობების შიში“ - ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა აზრით ნასამართლეობის სტატუსით ცხოვრება გაურთულებს მათ საზოგადოებაში დაბრუნებას, ახალი კონტაქტების დამყარებას, სამსახურის შოვნას.

„საპატიმროში დაბრუნების შიში“ - მსჯავრდებულების ნაწილი თვლის, რომ არსებობს მაღალი რისკი საპატიმროში უსამართლოდ დაბრუნებისა, მათ ეშინიათ, რომ შეიძლება ვინმემ „მოუწყოს“ რაიმე მახე და ისევ დააბრუნონ ციხეში. იმ მსჯავრდებულების დიდი ნაწილი, რომლებიც ნარკოტიკების მოხმარებისთვის იხდიან სასჯელს, შიშობენ, რომ გასვლის შემდეგ ვერ შეძლებენ ნარკოტიკებზე უარის თქმას და ისევ მოხვდებიან საპატიმროში.

„დასაქმების პრობლემა“ - „გასაგებია რომ არ გამოვდგები საჯარო სამსახურში, საპატრულოში, ჯარში, მაგრამ მეც ხომ მაქვს უფლება თავი ვიგრძნო ადამიანად“.

#### 2. პრობლემები პირად ურთიერთობაში

ოჯახის წევრებთან ურთიერთობა - პირობით მსჯავრდებულების უმრავლესობა აცხადებს, რომ ოჯახის წევრები და ახლო მეგობრები პატიმრობის დროსაც და გათავისუფლების შემდეგაც მხარში უდგანან, მათთან ურთიერთობის პრობლემები არ აქვთ. განსხვავებულად არის საქმე სამეზობლოში / ნაცნობებში და ზოგადად საზოგადოებაში. მათგან იგრძნობა უნდობლობა. საზოგადოება ეჭვის თვალით უყურებს მათ ნასამართლეობის გამო, იმისდა მიუხედავად თუ რისთვის იყო გასამართლებული.

**ყოფითი პრობლემები** - მთავარი პრობლემა, რომლის წინაშეც დადგნენ გათავისუფლების შემდეგ, არის მატერიალური და დასაქმების პრობლემები. მათთვის, ვისაც არ უმუშავიათ დაპატიმრებამდე, უფრო რთულია დასაქმება, ვიდრე მათთვის, ვინც იყო დასაქმებული, თუმცა ზოგიერთს ჯანმრთელობის მდგომარეობა არ უწყობს ხელს გააგრძელოს ძველი საქმიანობა, თუ ეს ფიზიკურ შრომასთან იყო დაკავშირებული. მათი აზრით, პროფესიის არ ქონა და ნასამართლეობის სტატუსი სერიოზულ პრობლემას შეუქმნის დასაქმების კუთხით.

**სამართლებრივი პრობლემები** - პირობით მსჯავრდებულების უმრავლესობას არ გააჩნია სამართლებრივი პრობლემები. ზოგიერთი მათგანი ასახელებს შემდეგი სახის პრობლემებს:

- პირადი ვალი
- დაგირავებული სახლი და ნივთები
- ავტომობილის მართვის უფლების არ ქონა
- ნასამართლეობის გამო სამხედრო სამსახურში მუშაობის დაწყების უფლების არ ქონა
- პირადი საბუთების აღდგენა (პირადობის მოწმობა)

**ჯანმრთელობის პრობლემები** - პირობით მსჯავრდებულები ასახელებენ შემდეგი სახის ჯანმრთელობის პრობლემებს:

- პატიმრობის დროს გადატანილი ინსულტი
- პლევრიტი
- C-ჰეპატიტი
- საჭმლის მომნელებელი სისტემის პრობლემები
- ფეხების შესიება, თავის ტკვილები, მეხსიერების ჩავარდნები (ცემისგან)

**ემოციური პრობლემებიდან** უმრავლესობა ასახელებს შფოთვიანობის მომატებას, აგრესიას, მუდმივ დაძაბულობას, უნდობლობას გარშემო მყოფების მიმართ, ნერვულ აშლილობას, გაღიზიანებადობას, ძილის პრობლემებს. პირობით მსჯავრდებულები აღნიშნავენ, რომ მთელი რიგი ფსიქოლოგიური და ემოციური პრობლემების გამო, ფსიქოლოგიური კონსულტაცია და რეაბილიტაცია აუცილებელია გათავისუფლებისთვის მომზადებისთვის და საზოგადოებაში დაბრუნებისთვის.

**რა სახის აქტივობები იქნება სასარგებლო მსჯავრდებულების გათავისუფლებისთვის მომზადებისთვის?**

ფოკუს ჯგუფის მონაწილეების დიდ ნაწილს არ აქვს წარმოდგენილი როგორ შეიძლება იმ რთულ სიტუაციაში დახმარება, რომელშიც მსჯავრდებულები არიან გათავისუფლების წინა პერიოდში. თუმცა მონაწილეთა ნაწილი თვლის, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური კონსულტირება/რეაბილიტაცია, იმისათვის რომ გათავისუფლების შემდეგ პატიმრებმა შეძლონ მთელი რიგი ემოციური პრობლემების დაძლევა. ფსიქოლოგიური დახმარება შესაძლოა დასჭირდეს იმ მსჯავრდებულების ოჯახის

წევრებსაც, რომელიც 10 წელი და მეტი ვადით იყო დაპატიმრებული. ასევე მნიშვნელოვანია მსჯავრდებულების ინფორმირებულობის გაზრდა იურიდიულ საკითხებზე. ერთ-ერთ სასარგებლო ღონისძიებად დასახელდა ახალი პროფესიის/ხელობის შექმნაში დახმარება პატიმრობისას ან პატიმრობის შემდეგ, ინფორმაციის მიღება დასაქმების შესაძლებლობების შესახებ.

მსჯავრდებულები, რომლებიც ნარკოტიკების მოხმარებისთვის იხდიან სასჯელს, თვლიან რომ აუცილებელია მათი დახმარება ნარკოდამოკიდებულების დაძლევაში, რადგან ძალიან დიდია ალბათობა ნარკოტიკის მოხმარების გამო დაბრუნდნენ საპატიმროში.

# 3. საექსპერტო გამოკითხვის შედეგები

ამ თავში მოცემულია საექსპერტო გამოკითხვის შედეგები. სფეროს ექსპერტებად კვლევის თემატიკიდან გამომდინარე მიჩნეულნი იქნენ ფსიქოლოგები, რომლებიც მუშაობენ პირობით მსჯავრდებულებთან / მსჯავრდებულებთან, ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პრობაციის სააგენტოს წარმომადგენლები, საერთაშორისო ორგანიზაცია NORLAG-ის ექსპერტები. ინტერვიუების შედეგები გაერთიანდა 5 თემად.

## 1. დანაშაულის რეციდივის მიზეზები

სფეროს ექსპერტების აზრით დანაშაულის რეციდივის თავიდან აცილებისთვის მნიშვნელოვანია მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის ეფექტური პროგრამების განხორციელება.

მათ ხაზი გაუსვეს რამოდენიმე, ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც ზრდის დანაშაულის განმეორების რისკს:

- **კრიმინალური ცნობიერება**

ხელმეორედ დანაშაულის ჩადენის ალბათობას ზრდის კრიმინალური ცნობიერება, რომელიც *„ღრმად არის გამჯდარი ზოგიერთებში. კრიმინალური იდეების სწავლებისთვის ციხე „კარგი საშუალებაა“, ციხეში მოხვედრის შემდეგ ადვილია კრიმინალურ ქსელში გაება“.*

- **სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მსჯავრდებულების „დაუსაქმებლობა“**

საპატიმროებში მსჯავრდებულების დროის უდიდესი ნაწილი უქმად იკარგება. ეს ხელს უშლის კრიმინალური აზროვნების პოზიტიურად შეცვლის პროცესს.

- **საზოგადოების დამოკიდებულება ნასამართლევი ადამიანების მიმართ**

საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მიუღებელია ნასამართლევი ადამიანი. შესაძლოა ეს პირადი ურთიერთობების დონეზე არ შეიმჩნეოდეს, მაგრამ საკმარისია საქმე შეეხოს ნასამართლევი ადამიანის სამსახურში აყვანას, აქ უკვე ნათლად ჩანს საზოგადოებაში არსებული სტიგმა. კერძო სექტორი ვერ აცნობიერებს რა როლი აკისრია საზოგადოებას და მათ შორის ბიზნეს სექტორს მსჯავრდებულთა რეინტეგრაციისათვის, ვერ აცნობიერებს რომ ნასამართლევი ადამიანისთვის ახალი ცხოვრების დაწყების შანსის მიცემით, საზოგადოება ხდება უფრო უსაფრთხო.

- **ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ნელი ტემპი**

განაპირობებს იმას რომ ეკონომიკური სახის დანაშაულის წილი ძალიან დიდია.

- **აქცენტი დამნაშავეების დასჯაზე და არა დანაშაულის/მისი განმეორების პრევენციაზე**

ექსპერტების აზრით დამოკიდებულება, რომ დამნაშავეების დასჯით შეიძლება დანაშაულის აღმოფხვრა არასწორია, ციხე, დღევანდელი პენიტენციური დაწესებულება გამიზნულია



იმისთვის, რომ დამნაშავე შეშინდეს და დანაშაული ხელმეორედ აღარ ჩაიდინოს. მაგრამ როგორც პრაქტიკა აჩვენებს ასეთი მიდგომა მხოლოდ ხანმოკლე ეფექტს იძლევა.

*„დღეს დღეობით სახელმწიფოსთვის პრიორიტეტია ახალი დაწესებულებების აშენება და მიდგომა დამნაშავეებისადმი „ნულოვანი ტოლერანტობა“, ეს უკანასკნელი გულისხმობს ციხეში ადამიანის დიდი ხნით გამოკეტვას, ეს კარგად მოქმედებს უსაფრთხოებაზე და მნიშველოვანი მიღწევაა, მაგრამ რა მოხდება როცა ამდენი ადამიანი გამოვა გარეთ, რამდენად სახიფათო იქნება საზოგადოებისთვის?“.*

- **რესოციალიზაციის პროგრამების სიმცირე**

რესოციალიზაციის პროგრამები მწირია, როგორც სასჯელადსრულების დაწესებულებებში ისე მის გარეთ. საქართველოში არსებული 24000 მსჯავრდებულიდან რესოციალიზაციის პროგრამებში მონაწილეთა წილი დაახლოებით 2%-ია. ცხადია ასეთი დაბალი მაჩვენებელი ხელს არ უწყობს გათავისუფლებული პირების რესოციალიზაციას და ზრდის დანაშაულის განმეორების რისკს. ამ სახის პროგრამების განხორციელებისთვის კვალიფიციური რესურსების სიმცირეა, არ არის სათანადოდ გაცნობიერებული ციხეებში სოციალური სამსახურის როლი.

- **არაადექვატური სასჯელი**

ექსპერტების აზრით საქართველოში დანაშაულზე არაადექვატურ სასჯელს უფარდებენ. აქედან გამომდინარე მსჯავრდებულების დიდ ნაწილს აქვს განცდა რომ შეუსაბამოდ მკაცრი სასჯელი აქვთ მისჯილი. ფსიქოლოგების აზრით კი „თუ ადამიანს აქვს განცდა, რომ მას არაადექვატური სასჯელი შეეფარდა, მასთან ფსიქოლოგიური მუშაობა რესოციალიზაციის პროგრამების განხორციელება მნიშვნელოვანია“.

## 2. რესოციალიზაციის ღონისძიებები

სფეროს ექსპერტებმა დაწვრილებით მიმოიხილეს ის ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს ყოფილი მსჯავრდებულების რესოციალიზაციის პროცესს.

- **საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლა**

გათავისუფლებული პირების საზოგადოებაში სრულფასოვანი დაბრუნებისთვის აუცილებელია შეიცვალოს საზოგადოების დამოკიდებულება ნასამართლეობის სტატუსის მიმართ. ამისათვის საჭიროა საზოგადოების შეცვლის კამპანიების წარმოება, სამოქალაქო განათლება. თითოეულმა წევრმა უნდა გაიაზროს რომ საკუთარი უსაფრთხოებისთვისვე უკეთესია თუ ნასამართლეს პირის რესოციალიზაცია მოხდება. ამისათვის შესაძლებელია „წარმატებული მაგალითების მოძებნა, როცა ადამიანმა ციხეში გატარებული მძიმე წლების შემდეგ შესძლო ცხოვრების ნორმალური გაგრძელება, საზოგადოებასთან ინტეგრაცია“.

- **კრიმინალური მენტალიტეტის რღვევის** მიმართულებით მუშაობის გაგრძელება აუცილებელია. თუ ღირებულებების სისტემა მსჯავრდებულს აქვს კრიმინალური, მაშინ დანაშაულის გაცნობიერებას ადგილი არ ექნება და რეციდივიზმის მაღალ ალბათობასთან გვექნება საქმე.
- **რისკებისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდოლოგიის დანერგვა**  
პრობაციის სამსახურში დაწყებულია რისკებისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის ინდივიდუალური მეთოდოლოგიის დანერგვა, ამ საკითხებზე სპეციალური სასწავლო კურსი გაიარეს პრობაციის ოფიცრებმა. ამ ეტაპისთვის, ოფიცრები, ახალი მეთოდოლოგიით დაახლოებით 400 პირობით მსჯავრდებულთან მუშაობენ. თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია ამ მიდგომის ფართოდ დანერგვა და პირობით მსჯავრდებულების უფრო დიდი ნაწილის მოცვა.
- **ოჯახის, ახლო სოციალური წრის მხარდაჭერა**  
ექსპერტების აზრით აუცილებელია მსჯავრდებულს ჰქონდეს საკმარისი კონტაქტი გარე სამყაროსთან. ამ ეტაპზე გრძელვადიანი პაემანის უფლება მსჯავრდებულების მხოლოდ ზოგიერთი კატეგორიისთვისაა დაშვებული და ისიც ზოგიერთ დაწესებულებაში. მსჯავრდებულების უმრავლესობისთვის კი დაშვებულია ისეთი პაემანი, რომლის დროსაც შეუძლებელია ფიზიკური კონტაქტი, ასეთი პაემანები ხელს არ უწყობს რესოციალიზაციას. „ბევრი მსჯავრდებული გამოთქვავს უკმაყოფილებას იმის გამო რომ არ აქვთ ფიზიკური კონტაქტის შესაძლებლობა ოჯახის წევრებთან, შვილთან, როდესაც ამდენი ხანია არ გინახავს შვილი, გირჩევნია სულ არ ნახო, ვიდრე ნახო და ვერ მოეფერო, პაემანების დროს ფიზიკური ბარიერების შემოღება საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაცია იყო (გადამდები დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით), მაგრამ ეს წესი უნდა იყოს განსაკუთრებულ შემთხვევებში და არა ყველასთვის.“
- **მსჯავრდებულების რიცხვის შემცირება**  
ექსპერტების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მსჯავრდებულების დიდი რაოდენობა ართულებს ყველა სახის სარეაბილიტაციო და სარეინტეგრაციო სამუშაოების განხორციელებას. პოსტრევოლუციურ პერიოდში მსჯავრდებულების რიცხვი დიდი ტემპებით იზრდებოდა. „მსჯავრდებულთა დიდი რაოდენობა რადიკალური რეფორმების ინერციით მიღებული შედეგია, ეხლა გადავედით სხვა ფაზაში. სასჯელადსრულების პოლიტიკა თანდათან დახვეწილი და მოქნილი ხდება. საზოგადოების უსაფრთხოებისთვის არ შეიძლება რადიკალური ნაბიჯი, მსჯავრდებულების დიდი ნაწილი რომ უცებ

გათავისუფლო გაიზრდება კრიმინალური დანაშაული, საზოგადოების უსაფრთხოებისთვის უმჯობესია შუალედის დაცვა, არც ბევრი მსჯავრდებული გვინდა და არც საზოგადოების დაუცველობა“. (პრობაციის სამსახური)

მსჯავრდებულების რიცხოვნობის კუთხით ბოლო ერთი წლის განმავლობაში შეინიშნება დადებითი ტენდენცია, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მსჯავრდებულების რიცხვი აღარ მატულობს. ექსპერტები გამოთქვამენ ვარაუდს, რომ მომავალში იქნება კლების ტენდენცია. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ბოლო პერიოდში განხორციელებული ლიბერალური ცვლილებები, რაც შესაძლებელს ხდის არასაკატიმრო სასჯელების პრაქტიკის დანერგვას. ამ მხრივ ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური პატიმრობის ალტერნატიული სანქცია - საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაა, რომლის ფარგლებშიც მსჯავრდებულს ეძლევა შესაძლებლობა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით გამოისყიდოს მის მიერ ჩადენილი დანაშაული. ალტერნატიულ სასჯელად საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის გამოყენება, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს კონკრეტულ მსჯავრდებულთა რესოციალიზაციაზე, განმეორებითი დანაშაულის პრევენციაში და ზოგადად გარემოს გაჯანსაღების საქმეში. ამავე დროს სასჯელის მოხდის ალტერნატიული ღონისძიებები უფრო ეფექტურია და იაფი.

- **აქცენტი რეციდივის პრევენციაზე და გათავისუფლებისთვის მომზადებაზე**

ექსპერტების აზრით სასჯელაღსრულების პრიორიტეტი ნაცვლად „ნულოვანი ტოლერანტობისა“ უნდა გახდეს დანაშაულის რეციდივის თავიდან აცილება. *„დამნაშავეების ციხეში გამოკეტვას ხანმოკლე შედეგი აქვს საზოგადოების უსაფრთხოების კუთხით. რა მოხდება როცა ისინი ციხიდან გამოვლენ? შეიძლება ძალიან დიდი პრობლემები შექმნას, ამიტომ აუცილებელია გათავისუფლების პროგრამების განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს რეციდივის შემცირებას. ამერიკაში კვლევებმა აჩვენა რომ მსჯავრდებულების 80%, რომლებიც არ არიან ჩართულნი გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამებში, გათავისუფლების შემდეგ კვლავ უბრუნდებიან დანაშაულებრივ გზას. თუ გვინდა მართლაც ეფექტურები ვიყოთ დანაშაულის აღმოფხვრაში, საჭიროა სხვადასხვა სარეაბილიტაციო სერვისები, მომზადება სკოლაში თუ სამსახურში დაბრუნებისთვის“ - პრობაციის ექსპერტი, NORLAG*

გათავისუფლებისთვის მომზადება რესოციალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ექსპერტებს გათავისუფლებისთვის მომზადებისთვის სწორ მიდგომად მიაჩნიათ გათავისუფლებამდე რამოდენიმე თვით ადრე მსჯავრდებულის დახურული ან ნახევრად

ღია დაწესებულებიდან ღია დაწესებულებებში გადაყვანა. ეს ეხმარება მსჯავრდებულს ეტაპობრივ ადაპტაციაში და რეინტეგრაციაში და „გარკვეული გამოცდაც არის მსჯავრდებულისთვის“. საქართველოში შენდება ღია ტიპის თავისუფალი შეზღუდვის დაწესებულება, სადაც მსჯავრდებულებს ერთმანეთთან თავისუფლად ურთიერთობის და დაწესებულების ტერიტორიაზე უპრობლემოდ გადაადგილების საშუალება ექნებათ. ღია დაწესებულება, პრობაციის დაქვემდებარებაში იქნება, მის ტერიტორიაზე იგეგმება პროფესიული საწარმოების და საგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნა. ეს უდაოდ ხელს შეუწყობს მსჯავრდებულების ნაწილის რეინტეგრაციას.

- **მსჯავრდებულების საჭიროებების შესწავლა**

ციხეში მუშაობისას აუცილებელია აქცენტი გაკეთდეს მსჯავრდებულების საჭიროებების შესწავლაზე, იმისათვის რომ ეფექტურად დაიგეგმოს სარეინტეგრაციო ღონისძიებები საჭიროა დიფერენცირებული მიდგომა, დანაშაულის მიზეზების კვლევა.

- **პროფესიული გადამზადება / მომზადება**

აუცილებელია მსჯავრდებულებს ჰქონდეთ საშუალება პატიმრობის პერიოდი გამოიყენოს ეფექტურად და შეიძინოს თუნდაც მინიმალური უნარ-ჩვევები, რომელიც მას გათავისუფლების შემდეგ დასაქმებაში დაეხმარება. ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები იდგმევა, მაგრამ არსებული რესურსები ვერ სწვდება ყველა მსურველს.

- **ფსიქოლოგიური სარეაბილიტაციო პროგრამები**

მსჯავრდებულებთან და პირობით მსჯავრდებულებთან საჭიროა ფსიქო სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამების ბენეფიციარების გაზრდა.

- **გათავისუფლების შემდეგ დასაქმებაში ხელშეწყობა**

ქვეყანაში ერთის მხრივ არსებობს უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი და მეორეს მხრივ არსებობს დეფიციტი კვალიფიციურ კადრზე. მით უმეტეს კვალიფიკაციის დიდი პრობლემაა როცა რამოდენიმე წელს ადამიანი ციხეში ატარებს. ისინი ვისაც პატიმრობამდე პერიოდში არ ჰქონდათ შეძენილი პროფესია, საჭირო უნარ-ჩვევები, გათავისუფლების შემდგომ პოტენციური დამსაქმებლისთვის არ არიან საინტერესონი. დამსაქმებლებს უნდობლობასთან ერთად აკავენს კვალიფიკაციის საკითხიც. ამიტომ დასაქმებაში ხელშეწყობა ხშირ შემთხვევაში მჭიდროდ არის დაკავშირებული პროფესიულ განათლების მიღების შესაძლებლობასთან. სფეროს ექსპერტების აზრით დასაქმების კუთხით დახმარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი მსჯავრდებულებისთვის, რომლებიც სასჯელს იხდიან საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/მარცვა).

აუცილებელია მინიმალური უნარჩვევები მაინც შეიძინონ პატიმრობის დროს, იმისათვის რომ გათავისუფლების შემდეგ შესძლონ საკუთარი თავის დამკვიდრება. აუცილებელია რომ პატიმრობაში ყოფნის დრო სასარგებლოდ გამოიყენონ.

*„თუ მათ ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას არ მოეწოდებ, დიდი ალბათობა რომ ისინი ისევ ჩაიდენენ დანაშაულს“.*

პარალელურად მნიშვნელოვანია პოტენციურ დამსაქმებლებთან, საზოგადოებასთან მუშაობა, იმისათვის რომ გაიზარდოს მიმღებლობა ნასამართლები პირების მიმართ, საჭიროა საზოგადოებრივი კამპანიების წარმოება, სამოქალაქო განათლება.

*„დღეს დღეობით ისეთი სიტუაციაა, რომ ნაყინის გამყიდველად და დისტრიბუტორადაც არავის უნდა ნასამართლეობის მქონე პირის აყვანა, ეს დიდი პრობლემაა“.*

*„დამსაქმებლებმა უნდა გააცნობიერონ რომ მსჯავრდებულის დასაქმება საბოლოო ჯამში საკუთარი ოჯახის უსაფრთხოებისთვისაა კარგი. ბიზნეს კომპანიებმა ეს შეიძლება გამოიყენონ საკუთარი PR-თვისაც.“ (ფსიქოლოგი).*

*„კერძო სექტორს არ ესმის რა როლს თამაშობს საზოგადოება ადამიანის რეინტეგრაციის პროცესში, ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ამ კუთხით“.*

ასევე აღინიშნა, რომ სახელმწიფომ უნდა აიღოს დახმარების ვალდებულება იმ ადამიანების მიმართ, ვისაც სურს გათავისუფლების შემდეგ დასაქმება, ამ კუთხით საჭიროა სერვისების დანერგვა. *„ნასამართლეობის ცნობის განეიტრალებისთვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას პრობაციის სამსახურის რეკომენდაცია, რომელსაც შესწავლილი ექნება რისკები და გარკვეულწილად პასუხისმგებლობას აიღებს“ - პრობაციის სააგენტო.*

მსჯავრდებულებისთვის საგანმანათლებლო სერვისის შეთავაზება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია გათავისუფლებისთვის მომზადების და რესოციალიზაციისთვის. თუმცა 100%-იანი მოცვა ძალიან დიდ რესურსს მოითხოვს.

მსჯავრდებულთა პროფესიული განათლების ხელშეწყობა სასჯელადსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია. პირველი *„საგანმანათლებლო - სარეაბილიტაციო სახლი“* ქსნის #15 დაწესებულებაში გაიხსნა, ასეთი საგანმანათლებლო სახლების ეტაპობრივი გახსნა ყველა დაწესებულებაში იგეგმება.

### **3. სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა**

კვალიფიციური და დროული სამედიცინო მომსახურების მიღება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პრობლემას წარმოადგენს. ამის მიზეზად ძირითადად დასახელდა საპატიმროების გადატვირთულობა, სამედიცინო კადრების დეფიციტი.

სფეროს ექსპერტების აზრით სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული გადატვირთულობა არის მთავარი მიზეზი, რის გამოც არ ხერხდება სამედიცინო მომსახურების დროული მიღება. სამედიცინო პერსონალის რაოდენობა პენიტენციურ დაწესებულებებში არ არის საკმარისი.

*„ერთჯერად სამედიცინო შემოწმებას ყველა მსჯავრდებული გადის მაგრამ სრული და დროული მომსახურების მისაღებად საჭირო ადამიანური რესურსი არ არსებობს, გამწვავების შემთხვევაში სტაციონარში ათავსებენ მსჯავრდებულს.“ (ციხის ფსიქოლოგი).*

ფსიქოლოგების აზრით პატიმრობის დროს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება ბუნებრივია. საპატიმროში მოხვედრის შემდეგ მსჯავრდებულს აქვს სტრესი, დეპრესია. უმწვავდება ყველა ჯანმრთელობის პრობლემა, ქრონიკული დაავადებები, რომელიც მანამდე ჰქონდა მაგრამ არ აწუხებდა, ან არ აქცევდა ყურადღებას. ციხის ადმინისტრაციის თქმით, კუჭნაწლავის პრობლემების გამწვავება კვების რეჟიმის გამო არ ხდება. კვება მისაღებია, არსებობს დიეტური მენიუ, მსჯავრდებულებს აქვთ შესაძლებლობა მაღაზიაში შეიძინონ საკვები.

ინფექციური და ჰაერწვეთოვანი გზით გადამდები დაავადებების გავრცელების რისკი კი არის იმ დაწესებულებებში, სადაც არ არის ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობები, საკნებში გადატვირთულობა, არ იღება ფანჯრები რის გამოც ვერ ხერხდება საკნების განიავება. (ციხის ფსიქოლოგი)

სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს წარმომადგენლების თქმით ტუბერკულოზის სკრინინგი ყოველდღიურად კეთდება. მაგრამ ტუბერკულოზის ეპიდემიის აღმოფხვრა დროში გაწელილი პროცესია. ამ ეტაპზე შემცირებულია ტუბერკულოზის შემთხვევები, თუმცა მნიშვნელოვანი შედეგი რომ დადგეს სჭირდება დრო. ტუბერკულოზთან ბრძოლის სტრატეგია ორიენტირებულია სამოქალაქო სექტორში აპრობირებული ტუბერკულოზის დიაგნოსტიკის, სეპარირებისა და სამკურნალო კურსის დანერგვაზე სასჯელაღსრულების სისტემაში. ამჟამად დაწყებულია ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთათვის დაბა ქსანში სამკურნალო კორპუსის მშენებლობა.

ციხის ადმინისტრაციის და სამინისტროს წარმომადგენლების აზრით ჰეპატიტის გავრცელების შემთხვევები სხვისი ჰიგიენის ნივთების (კბილის ჯაგრისი, საპარსი...)

გამოყენების გამო აღარ ხდება. ხშირია შემთხვევები, როცა მსჯავრდებული დამსჯავრდებულების დროს უკვე ინფიცირებულია.

“2012 წლის პირველი მარტისათვის პენიტენციურ სისტემაში ირიცხება ტუბერკულოზით დაავადებული 716 ავადმყოფი (რაც შარშანდელთან შედარებით 182-ით ნაკლებია); უკლებლივ ყველას უტარდება “Dots” და “Dots+” პროგრამებით გათვალისწინებული მკურნალობა”

*წყარო: IDIF -ის მიერ სასჯელაღსრულების სამინისტროდან ოფიციალურად გამოთხოვილი ინფორმაცია*

**სამედიცინო კადრების მწვავე დეფიციტის ერთ-ერთი მიზეზია ის რომ ექიმებს არ სურთ ციხეში მუშაობა იმ ხელფასზე, რისი შეთავაზებაც შეუძლიათ სასჯელაღსრულების სამინისტროს.**

*„სამედიცინო პერსონალის დეფიციტი ნამდვილად არსებობს. რთულია დაითანხმო კვალიფიციური ექიმი იმუშაოს ციხეში იმ ხელფასზე რისი შეთავაზებაც შეუძლია სასჯელაღსრულების სამინისტროს. ხელფასი დაბალია. ამასგარდა ბევრი ყალბი გამოძახებაა, მსჯავრდებულმა ყველანაირ წვრილმანზე შეიძლება ექთანი/ექიმი გამოიძახოს. ყურადღება სჭირდებათ და ამით ცდილობენ მიიღონ“ -ციხის უფროსი.*

#### **რეფორმები პენიტენციალური ჯანდაცვის სისტემაში**

პენიტენციალური სისტემის რეფორმის სტრატეგიის ერთი-ერთი პრიორიტეტია პირველადი ჯანდაცვის განვითარება, რომლის საბოლოო მიზანია პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის გათანაბრება სამოქალაქო სექტორის ჯანდაცვასთან. 2011 წლის თებერვლიდან დაიწყო პირველადი ჯანდაცვის მოდელის პილოტირება 3 სასჯელაღსრულების დაწესებულებებში (ქ.თბილისის # 8 და ქ.რუსთავის # 6 და ქალთა დაწესებულებებში). ამ დაწესებულებებში მოეწყო პირველადი ჯანდაცვის პუნქტები. პუნქტები აღიჭურვა თანამედროვე აპარატურით.

2011 წელს დაიწყო პენიტენციალური სისტემის მოქმედი მედპერსონალის გადამზადება ოჯახის ექიმისა და ექთნის სერტიფიკატის მისაღებას. 2012 წელს იგეგმება პილოტური პროგრამის გავრცელება კიდევ 5 დაწესებულებაში.

*წყარო: სამინისტროს ვებ გვერდი*

#### 4. სასჯელადსრულების დაწესებულების სოციალური მუშაკის საქმიანობის შეფასება

სასჯელადსრულების დაწესებულებებში სოციალური მუშაკები მუშაობენ მსჯავრდებულებთან, რომლებიც 4-6 თვეში თავისუფლდებიან, სოცმუშაკების საქმიანობა ძირითადად შემოიფარგლება საბუთების მოწესრიგებაში, ახლობლებთან წერილების გაცვლაში, ვიდეო პაემანების ორგანიზებაში. ექსპერტების აზრით ციხეებში სოციალური მუშაკების ფუნქციები მინიმალურია. ციხის ადმინისტრაციის განცხადებით სოციალური მუშაკები კარგად ასრულებენ იმ ფუნქციებს რაც ამ ეტაპზე აკისრიათ (საჩივრის დაწერა, საბუთების მოწესრიგება და ა.შ.) მაგრამ მომავალში სასურველია მათი ფუნქციები გაიზარდოს.

*„სოციალური მომსახურება ახლა ვითარდება, კვალიფიციური სოც.მუშაკები არ არიან ციხეებში. გარკვეულ სოციალურ მომსახურებას უწევენ, მაგრამ ეს ის არ არის რაც უნდა იყოს“ - სასჯელადსრულების დეპარტამენტის წარმომადგენელი*

ამჟამად პრობლემაა ციხის სოციალური მუშაკების მომზადება. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში არ არსებობს კურსები, რომლებიც მოამზადებს ციხის სოცმუშაკს. ციხეში მუშაობა ძალიან სპეციფიკურია, ამდენად ფართო პროფილის მქონე სოცმუშაკმა შესაძლოა ვერ იმუშაოს სასჯელადსრულების დაწესებულებებში. ამ ეტაპზე ხდება არსებული კადრის დატრენინგება, თუმცა მომავალში საჭირო გახდება ახალი კადრის აყვანა, რომელსაც ექნება სპეციალური განათლება. სოცმუშაკების შერჩევისას ასევე მნიშვნელოვანია მათი ფსიქო-ტიპის განსაზღვრა, შერჩევის ეტაპზე უნდა ჩართულები იყვნენ ფსიქოლოგები, რომ დადგინდეს შეუძლია თუ არა მას იმუშაოს ციხის სოცმუშაკად. სოცმუშაკი უნდა იწვევდეს ნდობას, შეეძლოს სტრესის პირობებში მუშაობა და ა.შ. ექსპერტების აზრით სოცმუშაკი არ უნდა ასოცირდებოდეს ციხის ადმინისტრაციასთან და მის ფუნქციებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ნდობის საკითხი იქნება ეჭვქვეშ.

*„ციხის სოციალური მუშაკი უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც ბოლომდე ენდობი, ის არ უნდა ასოცირდებოდეს ციხის რეჟიმთან, მსჯავრდებული ვერ ენდობა სოციალურ მუშაკს თუ მას ის ნანახი ყავს ჩხრეკის ჩატარებისას“ -ციხის ფსიქოლოგი*

სოცმუშაკების საქმიანობის ეფექტურობაზე მოქმედებს ციხეების გადატვირთულობა. სიტუაციის შესაცვლელად აუცილებელია გაიზარდოს სოციალური მუშაკების რაოდენობა, შეიცვალოს მათი მუშაობის განრიგი და დატვირთულობა.

*„სოციალური მუშაკების და მსჯავრდებულების რაოდენობის თანაფარდობა ისეთია, რომ შეუძლებელია მათ კარგად იმუშაონ. საჭიროა კადრების გაზრდა. სოციალურ მუშაკს რთულ პირობებში უწევს მუშაობა, მორიგეობა, მას არ აქვს თვითგანვითარების შესაძლებლობა, საჭიროა*



ახალი, მოტივირებული და კარგად მომზადებული კადრებით შეივსოს სოცმუშაკის შტატები“-  
სასჯელაღსრულების სამინისტროს წარმომადგენელი პრობაციის სააგენტო.

საერთაშორისო ექსპერტების აზრით მომზადებული და მოტივირებული კადრებით დაკომპლექტების პირობებშიც თუ ციხეში არ იქნება სარეაბილიტაციო პროგრამები, სოცმუშაკს არ ექნება შესაძლებლობა საკუთარი ფუნქციის შესრულების.

ციხეში მუშაობის მოტივაციის გაზრდის მიზნით საჭიროა ციხის პერსონალის მიმართაც დამოკიდებულება შეიცვალოს. ციხეში მუშაობა არ უნდა ითვლებოდეს ცუდ ტონად.

## 5. სასხელაღსრულების დაწესებულებებში არაჰუმანური მოპყრობა

გამოკითხვის შედეგების მიხედვით პერსონალის მხრიდან მსჯავრდებულებისადმი არაჰუმანური მოპყრობა კვლავ პრობლემას წარმოადგენს. ექსპერტების აზრით ციხეების გადატვირთულობა შეიძლება იყოს მსჯავრდებულებისადმი არაჰუმანური მოქცევის ერთერთი მიზეზი. მრავალრიცხოვანი კონტიგენტის მართვა განსაკუთრებულ უნარ-ჩვევებს საჭიროებს. შესაძლოა ამიტომ ირჩევს ციხის ადმინისტრაცია დაშინებით მართვის სტილს. ციხის ადმინისტრაცია უარყოფს ციხეში მსჯავრდებულებისადმი არაჰუმანური მოპყრობის შესაძლებლობას და აცხადებს რომ „გამოკითხულები როგორც ჩანს ძველი დროის ამბებს იხსენებენ და რომ ეხლა ეგეთი რამეები არ ხდება“.

„პერსონალის დიდ ნაწილს არ აქვს თანაგრძნობის უნარი მსჯავრდებულების მიმართ. ბევრი მათ უყურებს როგორც დამნაშავეს და არა როგორც ადამიანს. ამიტომ მნიშვნელოვანია პერსონალის სწორი შერჩევა, ბევრ ადამიანს არ შეუძლია აგრესიის მართვა და დაუცველ და სუსტ ადამიანთან ავლენს“.

ქალთა დაწესებულების ფსიქოლოგი აცხადებს რომ არაჰუმანური მოპყრობის ფაქტების შესახებ არ სმენია.

პრობაციის სააგენტოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „დახურული სისტემისთვის დამახასიათებელია არაჰუმანური მოპყრობის რისკი, და თუ ასეთი გადაცდომები არსებობს, აუცილებელია ასეთი ფაქტების გამოვლენა და შესაბამისი რეაგირება“. თუმცა სამინისტროს წარმომადგენლები უარყოფენ რომ წამების და არაჰუმანური მოპყრობა საქართველოს პენიტენციური სისტემისთვის დამახასიათებელია.

## 4. რეკომენდაციები

- ▶ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სოცმუშაკის ინსტიტუტის გაძლიერება;
  - სოც. მუშაკების შტატის გაზრდა
  - სოც. მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლება (ტრენინგები) ამ სფეროში ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით
  - სოც.მუშაკების სამუშაო დროის ნორმირება
- ▶ მსჯავრდებულთათვის განათლების და შრომის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად საჭირო ინფრასტრუქტურის გაფართოება;
- ▶ გარე სამყაროსთან მსჯავრდებულთა კონტაქტის შესაძლებლობების გაფართოება, პირადი და ხანგრძლივი პაემნების შესაძლებლობებისა და სიხშირის გაზრდა;
- ▶ პირველადი ჯანდაცვის სისტემის დანერგვა ყველა სასჯელის მოხდის დაწესებულებაში;
- ▶ სოციალური სამსახურის და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის კოორდინაციის გაუმჯობესება;
- ▶ სასჯელის მოხდის ადგილებში ფსიქო-სოციალური დახმარების სერვისის შექმნა
  - ფსიქოლოგის შტატის დამატება
  - ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის პროგრამების გაფართოება
- ▶ სამართლებრივ საკითხებში მსჯავრდებულების კონსულტირება/ მათი ინფორმირება თავიანთი უფლებების და მოვალეობების შესახებ.
- ▶ სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრაქტიკის დანერგვა და ეტაპობრივი გათავისუფლების სისტემის გაფართოება.

# გამოყენებული წყაროები

---

1. სპეციალური ანგარიში საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ, 2011 წლის პირველი ნახევარი
2. სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში, 2011 წელი
3. 2011 წელს განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები, [www.mcla.gov.ge](http://www.mcla.gov.ge)
4. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს 2011 წლის ანგარიში და 2012 წლის პრიორიტეტები
5. არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულება